ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია.
პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 4 თებერვალი 1918 წ.
ფასი 40 კაპ.

ახალი კვალი

ყოველ-კვირეული სამეცნიერო საპოლიტ. და სალიტერ. ჟურნალი.

№ 4 ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა. № 4

Y 905



აკაკი
(გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე).

Библиотека-Музей имени Акад. Н. Марра

ამიერ-კავკასიის სეიმი.

რუსეთში გაღვივებულმა სამოქალაქო ომმა ეს ვეებერთელა სახელმწიფო ნაფლეთ-ნაფლეთათ აქცია. აღარ არსებობს ყველასათვის მისაღები, ყოველი კუთხის ნდობით აღჭურვილი რევოლიუციონური ცენტრი; ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი პეტროგრადსა და სხვა და სხვა კუთხეებს შორის გასწყდა. ერთ მთლიან დემოკრატიულ რუსეთის მაგივრათ ჩვენ ვხედავთ რამოდენიმე დამოუკიდებელ ნაწილს: უკრაინას, ციმბირს, დონს, ჩრდილოეთ კავკასიას. და ეს სწორეთ იმ დროს, როდესაც ქვეყნის წინაშე სდგას უდიდესი კითხვა ყოფნა-არყოფნის შესახებ; ამ კითხვის გადაჭრაში ყველა ერთნაირათ არის დაინტერესებული, მის განსახორციელებლათ აუცილებელია ყველა რევოლიუციონურ და დემოკრატიულ ძალების გაერთიანება და შეკავშირება. ვინ უნდა ჩამოაგდოს საპატიო ზავი, რომელიც ასე სწყურია ქვეყანას, თუ არა მთელმა, სათანადო ძალით და ავტორიტეტით აღჭურვილმა დემოკრატიამ? ვინ უნდა მოაწესრიგოს ფინანსიური და ეკონომიური ცხოვრება, თუ არა ერთმა მჭიდრო ცენტრმა, რომელიც ყველა ცხოვრმყოფელ ძალებს გააერთიანებს? ჩვენ ყოველთვის ვფიქრობდით, რომ ადგილობრივ საქმეების მოსაგვარებლათ საჭიროა ფართო უფლებებით აღჭურვილი ადგილობრივი თვითმართველობა, მაგრამ მასთან ერთათ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ საჭიროა, განსაკუთრებით ასეთ დროს, როცა მთელი ქვეყანა საშინელმა არევ-დარევამ და ანარქიამ მოიცვა, ძლიერი ცენტრი, რომელიც სხვა და სხვა თვითმართველ ერთეულთა ძალებს გააერთიანებდა. დამფუძნებელი კრება უნდა ყოფილიყო მთელი რუსეთ ს ბატონ-პატრონი, ამ იდეაში თავს იყრიდა რუსეთის ყველა სასიცოცხლო ძარღვები.

მაგრამ დღეს რუსეთის დამფუძნებელი კრება აღარ არის, ის არ მოქმედობს! მისი გარეკა—სამარცხვინო და სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ მასთან ერთათ რეალური ფაქტი, რომელსაც შესაფერისი ლოგიკური დასკვნა უნდა გაუკეთოთ. ამ ფაქტს ის აუცილებელი შედეგი მოყვა, რომ თვითეული მხარე და თვითეული ერი რუსეთში თავის საკუთარ ძალების ანაბარა დარჩა; ამის შემდეგ თვითეული კუთხე იძულებული ხდება დამოუკიდებლათ გადასჭრას სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვები. ასეთ პირობებში ჩავარდა ჩვენი—ამიერ-კავკასია. რუსეთში სამოქალაქო ომი და ანარქია თან და თან იზრდება; რევოლიუცია და დემოკრატია, რაც დრო გადის, უფრო და უფრო იხრწნება. რა მოგველის ჩვენ? როგორი პოლიტიკური პერსპექტივები იშლება ჩვენს წინაშე? ნოე ჟორდანიას სამართლიან თქმის არ იყოს, რუსეთის რევოლიუციის მომავლის შესახებ შეიძლება სამი აზრი გვქონდეს: ან იგი (რუსეთი) განაწილებული იქნება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, ან თვით შინაგანი განვითარება რევოლიუციისა უმზადებს მას დამარცხებას და რეაქციას, ან და, თუ კი დემოკრატია თვითეულ მხარეში შესძლებს გაამაგროს თავისივე ძალლონით პოზიციები, შესაძლო იქნება ამ დემოკრატიულ ერთეულების შეკავშირება და ამრიგათ მთლიან დემოკრატიულ ფრონტის აღდგენა.

ამ მესამე გზას ადგია ჩვენი პარტია და მასთან ერთად ამიერ-კავკასიის დემოკრატიის უმრავლესობა.

ჩვენში არჩეულმა დამფუძნებელ კრების პუტატებმა 23 იანვრის კრებაზე მიიღეს მენშევიკებს რეზოლიუცია ამიერ-კავკასიის საკანონმდებლო სეიმის მოწვევის შესახებ. ეს სეიმი დამოუკიდებლათ გადასჭრის ჩვენი კუთხის ყველა საჭირბოროტო კითხვებს. სეიმის დაუყონებლივ მოწვევას წინააღუდგნენ ერთი მხრით სოციალისტ-რევოლიუციონერები და მეორე მხრით დაშნაკელები. პირველნი თუმცა თითქოს იზიარებენ სეიმის იდეას, მაგრამ მოითხოვენ ხელ-ახლა არჩევნების მოხდენას; რაც შეეხება დამფუძნებელ კრების დეპუტატებს, მათის აზრით, მათ მოვალეობას შეადგენს მხოლოდ ადგილობრივი მთავრობის შედგენა, ამის შემდეგ ისინი პეტროგრადს გაემგზავრებიან დამფუძნებელ კრებაში სამუშაოთ, მომავალი ადგილობრივი მთავრობა პასუხისმგებელი იქნება მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ცენტრის წინაშე, ესერებისაგან ასეთი განცხადების მოსმენა არ იყო მოულოდნელი; ის პარტია, რომელიც ადგილობრივ ცხოვრებაში სრულიად ნიადაგ მოკლებულია, რომელიც ძალიან ნაკლებათ იცნობს ჩვენ ქვეყანას, რომელიც ეყრდნობა სახლში მიმავალ ჯარს, რა თქმა უნდა ვერ გამოხატავს სრული სისწორით ჩვენი დემოკრატიის სულისკვეთებას.

რაც შეეხება დაშნაკელებს—მათი უკმაყოფილება გამოწვეულია უმთავრესათ იმ გარემოებით, რომ სეიმი,—როგორც მთელი ამიერ-კავკასიის ცენტრალური ორგანო, ნებას არ მისცემს მათ ჩვეული ნაციონალისტური პოლიტიკა აწარმოონ თავიანთ ეროვნულ საბჭოში.

დაშნაკელები და ესერები პრინციპიალურათ არ ეწინააღმდეგებიან ამიერ-კავკასიის სეიმის მოწვევას, მაგრამ ამისთვის სპეციალურ არჩევნებს ითხოვენ. ეს წინადადება დღევანდელ არანორმალურ პირობებში სრულიად განუხორციელებელია. სანამ ახალი არჩევნები მოხდება, დიდი დრო გავა, ამის განმავლობაში-კი ამიერ-კავკასიის უკანონმდებლო ორგანოთ დატოვება—ნაშნავს ანარქის და სამოქალაქო ომის გაძლიერებას, სარევოლიუციო ცენტრისათვის საკანონმდებლო ფუნქციების გადაცემა არ შეიძლება ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის უწინარეს ყოვლისა არის სარევოლიუციო ორგანო, რომელიც დემოკრატიის საქმეს დარაჯათ უდგას და რევოლიუციის გამტკიცების საქმეს ემსახურება; სპეციალური საკანონმდებლო მუშაობა მას არ შეუძლია.

თუნდაც რომ შეეძლოს, ჩვენ ნუ დავივიწყებთ იმ არა სასიამოვნო, მაგრამ რეალურ გარემოებას, რომ ცენტრს გავლენა აქვს მხოლოდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში, სხვაგან კი მას არც სცნობენ და არც ემორჩილებიან.

რაც შეეხება ეროვნულ საბჭოებს, მათთვის სახელმწიფოებრივი უფლებების გადაცემა, ამჟამათ ყოვლად შეუძლებელია, ეს მხოლოდ ეროვნულ შუღლს გააჩაღებდა ამიერ-კავკასიაში.

საბედნიეროთ, სეიმის მოწვევა—უკვე სინამდვილეა. 10 თებერვალს ის შეიკრიბება.

რა უნდა გააკეთოს სეიმმა?

პირველი, უდიდესი საქმე, რომელიც მან უნდა შეასრულოს—ეს არის საპატიო ზავის ჩამოგდება. მთელი თავისი ძალღონე, თავისი ავტორიტეტი უნდა მოახმაროს მან ამ მიზნის მიღწევას.

შემდეგი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც უნდა გადაჭრას სეიმმა, შეეხება ეროვნულ-პოლიტიკურ თვითმართველობათა შემოღებას.

ერთის სიტყვით აგრარული, ეროვნული, მუშათა და სხვა საკითხები მთელი თავისი სიმწვავით სდგანან ადგილობრივ დემოკრატიის წინაშე და ეს-ეთ უნდა იქნეს მიმართული მთელი ენერგია სეიმისა, საჭირო რეფორმების გასატარებლათ. დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი ამიერ-კავკასიის სეიმს, დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა მას ისტორიამ.

დემოკრატიამ გულწრფელათ უნდა უსურვოს სეიმს ნაყოფიერი მუშაობა, ვინაიდან ის, მოწოდებულია ხალხის საქმე შეასრულოს.

მ. ხუნდაძე.

აკაკი.

(კრიტიკული ეტიუდი).

ამ დღეებში შესრულდა სამი წელიწადი, რაც ჩვენი დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი გარდაიცვალა. მას შემდეგ, რასაკვირველია, ბევრმა წყალმა ჩაიარა და დიდი და საყურადღებო ამბებიც მოხდა; ასე რომ აკაკი თან და თან მიეფარა სცენას და ბოლოს მივიწყებულ იქნა. ეს მოვლენა, რასაკვირველია, სრულიად ბუნებრივია; ჩვენ კარგათ ვიცით, რომ არ არსებობს მუდმივი მწუხარება ისევე, როგორც არ არსებობს მუდმივი სიხარული. ჩვენთვის ყველაფერი დროებითი და წარმავალია, არაფერი არ არის ქვეყანაზე აბსოლიუტური და შეურყეველი. მაგრამ აკაკის შემოქმედებას ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრისთვის, აკაკიმ ისეთი გავლენა მოახდინა ჩვენ განვლილ ცხოვრებაზე, რომ არ შეიძლება მისი ხსოვნა არ იქნას აღნიშნული თუნდაც ეხლა, ეხლა, როდესაც ასეთს საბედისწერო მომენტს განვიცდით, ეხლა, როდესაც მყობადი გამოუცნობ სფინქსივით აღმართულა ჩვენ წინ. როცა **რევოლიუცია** საფრთხეშია და მის მომავალში მღელნელი იქვები გვეპარება. საჭირო ხდება უაღრესათ უდრეკი ძალა და მახვილი გონება, რომ **ვიარსებოთ.** ეგები „ჩვენი აკაკის“ პოეზიის მოკლე განხილვით უფრო აგვიმაღლდეს გონება, მეტათ გაგვიფაქიზდეს ვრძნობა და კაუკვით გამოიჭედოს ჩვენი ნებისყოფა, რომ ამით ბრძოლაში ნაწრთობმა, აუცილებლივ შეგვეძლოს დაძლევა ყველა იმ შავ შესაძლებლობათა, რომელნიც მტრათ უდგას ჩვენ ფიზიკურ არსებობას და ბრწყინვალე რევოლიუციის მიერ მონაპოვარ თავისუფლებათ... ამ კრიტიკულ ჟამს ერთის თვალის გადავლებით მაინც გადავხედოთ აკაკის პოეზიას, ვინაიდან ტყვილათ არ ამბობს ერთ ალაგას კ. კაუცკი, რომ პოლიტიკა და ხელოვნება ერთმანეთის მეგობრებია: პოლიტიკას შეუძლიან ხელოვნებას მისცეს უძვირფასესი მასალა შემოქმედებისათვის, უძლიერესი იმპულსები, ხელოვნებას კი შესწევს უნარი სალ-კლდესავით გაამაგროს პოლიტიკური მებრძოლის ძალ-ღონეო...

როგორც ვსთქვით, აკაკი დიდი მგოსანია, ის ისეთი ცენტრალური ჩირაღდანია, რომელიც საკმაო დიდ სიშორეზე ანათებს გარემოს, ეს ისეთი მწერალია, რომლის მთლიანი, საეუძვლიანი და დეტალური შესწავლაც ამავე დროს იქნებოდა საქართველოს გასული საუკუნის

მეორე ნახევარის გონებრივ-ზნეობრივი ვითარების და ლიტერატურის მდგომარეობის გათვალისწინებაც. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ბოლოს და ბოლოს ლიტერატურა, როგორც ერთი სახე გონებრივი კულტურისა და „იდეოლოგიათა ზედნაშენის“ ერთი ფორმათაგანი არსებითად დამოკიდებულია ეკონომიკაზე, რომ იგი განსაზღვრება ბოლოს და ბოლოს ნივთიერი ცხოვრებისა და საწარმოვო ძალთა მდგომარეობით. მეცნიერული დებულებაა, რომ ეკონომიური ვითარება არის საფუძველი ანუ ბაზისი იდეოლოგიის ყოველი ფორმის, როგორც მარქსი იტყოდა „ადამიანთა შეგნება კი არ განსაზღვრავს მათ მდგომარეობას, არამედ, პირიქით, მათ სოციალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული მათი შეგნებაც“. ამიტომ აკაკის შემოქმედების, და საერთოდ მთელი ჩვენი იმდროინდელი ლიტერატურის, მთლიანი შესწავლით ჩვენ ვეცნობით აგრეთვე მთელ კულტურას, როგორც ნივთიერს, ისე სულიერს, როგორც სოციალ-ეკონომიურს, ისე ლიტერატურულ პოლიტიკურს. სწორეთ ამისთვის აუცილებელი ხდება აკაკის ყოველმხრივი განხილვა, რადგანაც ის მისივე სიტყვით „გარემოების საყვირია“, „სარკეა ცხოვრების“. აკაკის შემოქმედება უნდა გამოჩნდეს მთელი თავისი სიღრმე-სიმაღლით და სიგრძე-სიგანით. მაგრამ აკაკის განხილვა არ უნდა მოხდეს მარტო, როგორც ვ. ფრიჩე იტყვის, ფილოლოგიურისა და ესტეტიურის მხრივ, კრიტიკა არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო ფაქტიური მასალის დაგროვებით, ან და ესტეტიური ანალიზის გაკეთებით, არამედ ჩვენმა კრიტიკამაც უნდა დაიწყოს ძირიდან, სიღრმიდან და ქვეყნის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის თვალსაზრისით გააშუქოს როგორც აკაკის, ისე სხვათა, პოეზია. ეს უნდა მოხდეს იმისთვის, რადგან, ვიმეორებთ, ლიტერატურული მოძრაობა და განვითარება მხოლოდ ზედნაშენია (ბოლოს და ბოლოს) ეკონომიური მოძრაობისა და განვითარებისა. ამისთვის ვისაც სურს რომელიმე ერის რაიმე სალიტერატურო მიმართულებას გაეცნოს, მან **უპირველესად ყოვლისა** ამ ერის სოციალ-ეკონომიური ვითარება უნდა შეისწავლოს, რადგანაც გარემოება, საწარმოვო ძალთა მდგომარეობა და მათი განვითარება ჰქმნის აზრს, იდეას და არა წინაალმდეგ. ასეთია მეცნიერების სიტყვა ისტორიული განვითარების და მათ ფორმაციათა შესახებ. და აი ჩვენ თუ ამ პრინციპს ვიხელმძღვანელებთ, მაშინ შეისწავლით აკაკის, და საერთოდ ჩვენ მწერლობას, ყოველმხრივათ, მაშინ იქნება ის მთლიანათ გაშუქებული, მისი პოეზია გათვალისწინებული და ხელის გულზე გადმოშლილი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ ვართ მომხრე ისტორიული მატერიალიზმის ისე ვულგარულათ გაგების და უბრალოდ ახსნის, რომელსაც მეცნიერებაში ეწოდება „თეორია წინასწარ მიღებული ჰარმონიისა“. არის მოვლენები, რომელთაც ამ საზომით ვერ მიუდგებით და ეს ითქმის უპირველესად ყოვლისა და უმთავრესათ ხელოვნებაზე. აშკარაა სირთულე და მრავალმხრივობა საზოგადოებრივი ორგანიზმის და ამ ორგანიზმის განვითარების სხვა და სხვაობა. როდი კმარა მარტო „აბსტრაკტული პარალელიზმი“ ბაზისსა და ზედნაშენს შორის. სოციალური ცხოვრების ყოველ მხარეს აქვს თავისი შინაგანი კანონები, მიზან შეწონილი განვითარება და მნიშვნელობა; არის ამ მხარეთა ურთი ერთ გავლენა, მეტადრე იდეოლოგიას აქვს უდიდესი გავლენა ისტორიულ პროცესზე. ამას გარდა მოვლენებს აქვს თავისი სპეციფიური და კონკრეტული სახე, მაგრამ საბოლოოდ **მოქნიზმი** მეთოდოლოგიაში და სოციალურ ევოლიუციაში უცილო რჩება. ამიტომ ვიღებთ ჩვენ „ზედნაშენის შედარებითი დამოუკიდებლობის თეორიას“, როგორც სწორ შეხედულობას მარქსიზმში.

ყოველ ესტეტიურს, ხელოვნურ ნაწარმოებს ორის კრიტერიით უნდა მიუდგეთ: სოციოლოგიური და ესტეტიური საზომით. „კრიტიკოსის უპირველესი მოვალეობა — ამბობს გ. პლეხანოვი — მდგომარეობს იმაში, რომ მან გადიტანოს მხატვრული ნაწარმოების იდეა ხელოვნების ენიდან სოციოლოგიურ ენაზე, რასაც შეიძლება ეწოდოს ლიტერატურული სახის სოციოლოგიური ეკვივალენტი“. ჩვენც, რამდენადაც დრო, გარემოება და ადგილი ამის ნებას მოგვცემს, ამ მხრივ მიუდგებით აღებულ საგანს.

1864 წელს საქართველოში ოფიციალურად ბატონყმობა გაუქმდა. მოისპო ის შემბორკველი ინსტიტუტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარებას გასაქანს არ აძლევდა. 70-80-იან წლებიდან დაიწყო საქართველოს აღორძინება. ძველი ფეოდალური და კარჩაკეტილი ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა და თანდათანობით გზას უთმობს ახალს, ახალი მოთხოვნილებებით და იდეალებით გამსჭვალულ საქართველოს. ნატურალური მეურნეობა ნელნელ ადგილს უთმობს ახალ ეკონომიურ ფორმაციას. ჩნდება რკინის გზები, შარა გზები. ერთი მხარე უკავშირდება მეორე მხარეს. პროვინციალიზმის კედლები ირღვევა, ახალი ძალის მიერ და ამ ძალას ეწოდება ვაჭრობა და მრეწველობა. ჩვენი ქვეყანა ასე თუ ისე ევროპის გზაზე შედგა, სამოქალაქო ცხოვრება ჩაღდება. ამ დროს ცხოვრების ყველა დარგმა, ძველთან შედარებით, დაიწყო განახლება. სავაჭრო კაპიტალის ზეგავლენით ახალმა ცხოვრებამ იწყო ჩუხჩუხი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ აი ეს ხანა, კაპიტალიზმის დასაწყისი ჩვენში, საკმაოდ არის გამორკვეული ქართულ მარქსისტულ ლიტერატურაში. აი ამ ხანებშიკე ფრთა გაშალა ჩვენმა მწერლობამ. აკაკი იყო ის პიონერი, რომლის ქნარმაც გამოსცა ჯერ არ გაგონილი საამური ხმები და ამით პირველი სხივები დაეცა საქართველოს გამოსაფხიზლებლათ გამზადებულს სხეულს. ჯერ ბატონყმობა არც კი გადავარდნილიყო, რომ აკაკიმ 1863 წელს „ცისკარში“ გამოაქვეყნა ლექსი „გლეხის ახსარება“, სადაც იმერელი გლეხის უმწეო მდგომარეობა დაასურათა. კირთების ბორკილის მოსპობისთანავე აკაკიმ გლეხობას ახარა:

„თავისუფლების სხივები გულს მოგეფინაო“.

ამავე ხანებშივე, სახელდობრ 1864 წ. მის ლექსში გათავისუფლებული გლეხის დედა შემდეგს ეუბნება თავის შვილს:

„გაიზდები გენაცვალე **თავისუფალიო**,
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო“.

აკაკიმ აქედანვე ომი აუტეხა გლეხების მჩაგვრელებს. მისი მიზანი—გათვითცნობიერებული და სწავლა მიღებული გლეხკაცობა შეიქნა. ის თავისი რეალიზმით უაღრესათ მხატვრულათ გვისურათებს გლეხობის ცხოვრებას, მათ პირს, ლხინს, ფსიხოლოგიას. გავიხსენოთ მისი შესანიშნავი ლექსები „მუშები“, „სიმღერა მკის დროს“, „მუშის ნატვრა“, „მუშური“ და სხვ. საკითხავია, საიდან გაიცნო აკაკიმ გლეხის ცხოვრება? როგორც ვიცით, იგი დაბადებიდანვე გაატარეს გლეხის ოჯახში და იქ იზრდებოდა რვა წლამდე. აქ ამ გლეხის ქოხში გაეცნო და ეზიარა იგი ხალხურ ცხოვრებას და შემდეგ, როცა სხვა წრეში ჩავარდა, მასში გაიღვიძა დემოკრატიულმა და ოპოზიციონურმა სულისკვეთებამ, მისწრაფებამ და იდეალმა. აკაკიმ **იმ დროში** თავიდანვე უარჰყო ყოველგვარი პირადი ბედნიერება და თავის დროშას ხალხის სამსახური დააწერა. აკაკი თითონ ამბობს: „ამ ალიაქოთს (მან თავისი მჭრელი კალმით საჯაროთ გაჰკიცხა ჩინ-ორდენებისა და კარიერის მოტრფიალენი და ამით ბევრი „ძლიერი ამა სოფლისა“ გადიმტერა. არ—მ.) ზედ დაერთო კიდევ გლეხების გათავისუფლება, რომელსაც მე თანა უგრძნობდი და დავწერე „იავ-ნანა“. მაშინ კი აუტანელი შეიქმნა ჩემი ცხოვრება: ჩამოვშორდი დედამას, ოჯახს... ცოლშვილი საყოლში გავისტუმრე და მე გავკერადი, ავიღე საპირადო ცხოვრებაზე ხელი, განა გადავდევი ყველაფერი და აშკარად შეუდექი ჩემ გზას, რაც დამემართოს, დამემართოს მეთქი. და მის შემდეგ, ორჯერ-სამჯერ სიკვდილს გადარჩენილს, მოთმინება ფარად მჭონდა და თითონ კი უშიშრად უყეფდი ყოველგვარ ცუდ მოვლინებას ჩვენში. შეიძლება ზოგჯერ კიდეც შემცდარვიყავი, მაგრამ ყოველთვის კი გულწრფელი ვყოფილვარო“. ეს აკაკის აღსარებაა და ჩვენ უფლება არ გვაქვს არ დავიჯეროთ. და მართლაც: თუ ჩვენ გულდასმით ჩაუკვირდებით მის ცხოვრებას და მის სამწერლო მოღვაწეობიდან საერთო ხასიათის მოვლენებს ერთ ძაფზე ავასხავთ, აშკარად და ნათლად დავნახავთ, რომ აკაკი ყოფილა თავის დროის ერთი უდიდესი მებრძოლი, ჭეშმარიტი **დემოკრატი** და პროგრესიული აზრების მატარებელი ადამიანი.

აკაკის პოეზიას ყოველთვის ახასიათებს უკიდურესი გულწრფელობა და პირდაპირობა. თავის სამოღვაწეო პროგრამას იგი ასე გადმოგვიშლის:

„მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ **სიმართლეს** მსახურებდეს,
განამტკიცოს **რი წმინდა**, გულს სიწმინდით ახურებდეს,
რომ **დაჩაგრულს** მის სიმღერით გულს ცრემლები ეშრობოდეს
და **მჩაგვრელს** კი გულში ძგერით ისარივით ესობოდეს“.

და იმ შავბნელ დროში დემოკრატიაზე დაჩაგრული განა კიდევ ვინმე იყო? აკაკი სიმართლის მოსარჩლე იყო, ე. ი. ამ დემოკრატიის დამცველი.

80-იან წლებში, როდესაც რუსეთის ნაროდნიკული მოძრაობა მწარედ დამარცხდა და რეაქცია გაბატონდა, აკაკიმ გამოაქვეყნა შესანიშნავი ლექსი „ხანჯალი“, სადაც მტრისაგან გამოსახსნელ იარაღათ ხანჯალი დაისახა და აღიარა, რომ უხეშ ძალას ძალავე უნდა დაუპირდაპირდეს. აკაკი მუდამ ხალხთან იყო. იგი მიხვდა, რომ ხალხის გულში დაუფასებელი განძი მარხია. აკაკიმ შეიტკბო და შეითვისა დემოკრატია, დაეწაფა მის გულს და იქ ჰპოვა, რასაც ეძებდა. მან საქართველოს მხსნელათ გათვითცნობიერებული დემოკრატია გამოაცხადა და იმედი, როგორც ვხედავთ, არ გასცრუებია. დღეს ამ დემოკრატიამ უკვე დალეწა ძველი წესწყობილება და ახალ, თავისუფალ ცხოვრებას აწყობს...

როგორ შეხედა აკაკი 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობას? აქ მან გამოაქვეყნა შესანიშნავი ლექსი, რომელიც მხატვრული ფორმით არ ჩამოუვარდება სხვა მის პირველ-ხარისხოვან ლექსებს:

„მადლობა უფალს **რომ** მიეესწარი, **ჩემი ხურვილის** ასრულებასა
და ვით ბულბული დაბერებული, მეც დროს უგალობ „ქებათ-ქებასა“.
მართალი არის სისხლი იღვრება, არა მოითხოვს ამას ბუნება,
წყალი ხორცსა ჰბანს და სისხლი სულსა, ამას გვიმოწმებს თვით ქრისტეს ენება.
თითო ოროლა კარგიც იჭრება, რომ იმარგლება სამინდის ყანა,
მაგრამ ამისთვის მის გათოხნაზე, ხელს იღებს ხოლმე ქვეყანა განა?
მყრალ ბალახებთან ზოგჯერ უეცრათ, იჭრება ხოლმე ვარდი და ია,
საქმე არ არის ერთი და ორი, საქმეა მხოლოდ თვით **იდეა**.
ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას!“

თუმცა აკაკის შეხედულობა ქართველი ერის სხვა და სხვა კლასებზე და წოდებებზე ხშირათ **იცვლებოდა** სხვა და სხვა მიზეზთა ვავლენით, მაგრამ ამისდა მიუხედავათ წითელი ზოლივით გატარებულია მის შემოქმედებაში უაღრესი სიყვარული ქართველი ხალხისადმი; ამას ამტკიცებს თუნდაც მისი ანდერძი ხალხური ზეპირ-სიტყვაობის შესახებ. აკაკიმ თავისი ლირიკის საშუალებით დაუახლოვა ლიტერატურა ფართო მასას და სწორედ აქ არის მისი ღირსება და სიდიადე. ამის შესახებ ცნობილი კრიტიკოს-პუბლიცისტი ხომლელი სწერს: „აკაკის შემოქმედებითმა ტალანტმა უქარტეხილოთ, აუჯანყებლათ, სისხლის დაუღ-

ერელათ ქართველთა ცხოვრებაში მოახდინა დიდი, ფასდაუდებელი მშვიდობიანი რევოლიუცია, რომლის მეოხებითაც ძირს დაეცა ძველი, ქვეყნის ტახტზე ბრძანებელი წარმომადგენელი, ძველი დიდკაცური ენა, სიტყვა-პასუხი, რიტორები, კერპები, ჩვეულებანი, ადათები, ხასიათები და შესანიშნავმა მემკვიდრეობით, ჩამომავლობით არისტოკრატმა დიდმა ივერიელმა შექმნა და განახორციელა ერული, სპეტაკი უბრალოება, ალალ-მართლობა და ხალხის ჭეშმარიტი დემოკრატიზმი“...

აკაკი საზრდოობს ხალხის სულიერი განძით და ჰქმნის საუცხოო ხელოვნურ მარგალიტებს და რამდენადაც ის ამ ბუნებრივ კალაპოტშია, იმდენად ის ძლიერია ხელოვნებაში და რამდენადაც ის ამ კალაპოტს სცილდება, იმდენად სუსტი ხდება მხატვრობაში. დღეს უკვე ჭეშმარიტებაა, რომ „აკაკი ყველაზედ უფრო მიუახლოვდა ქართველი ერის შინაგან ფიდათა ფიდას, ჩასწვდა მის სიღრმეს და გამოიტანა იქიდან საუცხოო მარგალიტები. და შემდეგ კი ეს მარგალიტები გაალამაზა, გაამშვენიერა, გაატურფავა და გაასპეტაკა, საუცხოო მუსიკალურ პოეზიათ გარდაქმნა და ხალხსავე უკან დაუბრუნა“.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორი იყო აკაკის, ამ ნამდვილი პატრიოტის, შეხედულობა კავკასიაში მოსახლე სხვა ერებზე. აი რას სწერს იგი ამის შესახებ:

„იმას არ ეთქმის ადამიანი, ვინც აღიარებს მარტო
თავის ერს,
და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს ჩასაყლაპავად
როგორც მტერი მტერს...
დაე სულ ყველამ იბედნიეროს, თვის სამშობლოში,
თავის მხარეში,
რომ შოძმე იყონ ერთი მეორის, და არა მონა, ყმა
და ფარეში“.

მაშასადამე იგი ერთა სოლიდარობის საუკეთესო დამცველი ყოფილა.

აკაკის შემოქმედება უმთავრესათ ლირიკულია და ამ სფერობში, ლირიკაში, მან მიაღწია ხელოვნების მწვერვალს. ყოველგვარ მხატვრობის დედაძარღვს ცოცხალი წარმოდგენა, მხატვრული ინტუიცია შეადგენს. ამ მხრივ ჩვენი მგოსანი ლირიკაში პირდაპირ უნაკლო და შეუდარებელია. მისი „სალამური“ „სულიკო“ „აღმართ-აღმართ“ ნომ ესტეტიკის საუცხოო ნიმუშებია. მან სისწორით შეასრულა შოთა რუსთაველის ანდერძი: თავისი იშვიათი პოეტური ნიჭის წყალობით ხალხის სულისკვეთება და იდეალი უაღრესათ ლირიულ ჩარჩოში ჩამოაყალიბა და ასე შეჰქმნა „საღმთო საღმთოდ გასაგონი“.

აკაკის შემოქმედებას, მის პოეტურ მოღვაწეობას ჩვენი დემოკრატია ბუდამ პატივისცემით და გულწრფელი მადლობით მოიხსენიებს. მის ხსოვნას ამ დემოკრატიის გულში ეკავება სწორედ ის ადგილი, საცა მოკრძალე გრძნობა—სიყვარული ბუდობს. მაგრამ ჩვენ აკაკის პოეზიის ბოლე განხილვის დროს (იმდენად, რამდენათაც ეს დღევანდელ პირობებში შესაძლო იყო) არ ვხელმძღვანელობდით აბსოლიუტური პრინციპით, ჩვენ ვიდექით ისტორიულ და შედარებით პრინციპზე მის შეფასებაში და დავინახეთ მასში თავის დროის დიდი „ნაროდნიკი“—დემოკრატი. ეს ნათლათ უნდა იქნას აღნიშნული მით უმეტეს, რომ მისი პოეზია, და საერთოდ იმდროინდელი სიტყვა-კაზმული მწერლობა, იდეიურათ ემყარებოდა მაშინდელ პუბლიცისტიკას და აკაკის პოეზიის მოტივების ცნობით, ჩვენ ვგებულობთ, თუ როგორი იქნებოდა მისი შემოქმედების თეორიული საფუძველი. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ჩვენთვის აკაკი ამ მხრივ უკვე **წარსულს** ეკუთვნის. მის სოციალურ კონცეპციას ვერ დავეთანხმებით და დღეს იმით ვეღარც დავკმაყოფილდებით. იგი (კონცეპცია) ირღვევა, ვეღარ უძლებს ცხოვრების კრიტიკას. კაპიტალიზმი ჩვენში ვითარდება და კლასთა ბრძოლაც უფრო მეტათ ჩაღდება. კლასიური დაყოფა სიჩქარით სწარმოებს. ამ კაპიტალიზმის ზრდის ზეგავლენით გამოწვეული კლასიური დიფერენციაციის გამოაშკარავება ლიტერატურაში უკვე სცადა 90-იან წლებში ეგნატე ნინოშვილმა. იგი ხიდი იყო ძველიდან ახალ ხანაზე გადმოდებული. მას შემდეგ გაცილებით წინ წავიწიეთ. პროლეტარიატი ჩვენში, და მასთან ერთად მშრომელი დემოკრატია, საკუთარ კლასათ დაირაზმა, რომელმაც საკუთარი ხელოვნების დროშა აღმართა. მაგრამ ეს კი უნდა ითქვას, რომ ამ ჩვენი პროლეტარული ხელოვნების განვითარება ჯერ ვერ არის შეფარდებული თავისი სიდიადით იმ თეორიულ მოძღვრებასთან, რომელსაც ჩვენში ასე მძლავრათ აქვს ფრთები გაშლილი. და ჩვენც მთელი ჩვენი ახალგაზრდული სულით ველით მომავალს, მომავალ პროლეტარულ მთლიან კულტურას, რომელიც ბოლოს უნდა გადიქცეს მთელი კაცობრიობის კულტურათ, მაგრამ რომელიც უნდა გაიზარდოს და გაძლიერდეს აწმყოში, კაპიტალისტურ ჩარჩოებში, ბოლოს სძლიოს ამ ბურჟუაზიულ კულტურას და მის ნანგრევებზე აღმართოს თავისი იდეიური და ნივთიერი გამარჯვების წითელი ალამი. ჩვენ გვწამს პროლეტარიატის ამ ბრწყინვალე მომავლის აუცილებლობა და ამ რწმენით ვათავებთ წერილს.

არ. მექანარიშვილი.

ისტორიული მატერიალიზმი და ფაქტორების თეორია.

2. პარალელი ფაქტორების თეორიასა და ისტორიულ მატერიალიზმს შორის.

ფაქტორების თეორია, უპირველეს ყოვლისა, მხოლოთ ერთი ტიპი არის ინდივიდუალურ-ფსიხოლოგიურ სკოლისა სოციოლოგიაში. სოციალური კომპლექსები, ამ თეორიით, შედეგია ადამიანის ბუნების სხვა და სხვა მხარეების გავლენისა, ანუ, როგორც პლეხანოვი ამბობს, „ფუნქციებია ადამიანის ბუნებისა“. ასე მაგ. სმა-ჯამის

საჭიროება ჰქმნის ეკონომიურ მოვლენებს, სამართლიანობის გრძნობა—უფლებას და მორალს და სხვ. ამით ფაქტორების თეორია უახლოვდება იდეალისტურ შეხედულებას, რადგან ისტორიის მსვლელობაში პირველადელ და უმთავრეს როლს მიაწერს ადამიანის ფსიხიკას და მის თვისებებს.

ეს ფსიხოლოგიური ინდივიდუალური მომენტი ფაქტორების თეორიის ყველა შტოსა და სახეს ახასიათებს, მაგრამ ამის შემდეგ ამ მოძღვრების თეორეთიკოსებს შორის, ცხადია, იწყება აზრთა სხვადასხვაობა; ადამიანის ბუნებას მრავალი მხარე აქვს, ამისთვის ისტორიაში, ამ თეორიის აზრით, მრავალი ფაქტორი მოქმედობს; ზოგი ამა თუ იმ მოსაზრებით ერთს რომელიმე ფაქტორს მიაწერს უფრო მეტ მნიშვნელობას, ზოგი მეორეს—და ასე მოსალოდნელია მრავალი კომბინაცია. უმთავრესათ კი ამ თეორიის მომხრენი სამს ჯგუფათ იყოფიან: ერთი რიგი სოციოლოგთა რომელიმე **ერთ** ფაქტორს სთვლის სხვა ფაქტორებზე უფრო ძლიერ და მნიშვნელოვანათ; მეორე რიგი ყველა ფაქტორების „თანასწორობის“ მომხრეა; ამათი როლი ისტორიაში, მათის აზრით, სწორი და დამოუკიდებელია, მხოლოდ ურთიერთი გავლენა არსებობს მათ შორის; არის კიდევ მესამე ჯგუფი, რომელიც ამ ფაქტორებს რაოდენობის მხრივ სხვა და სხვა მნიშვნელობას აწერს, და სცდილობს გამოარკვიოს და შემოხაზოს მათი „გავლენის სფერო“ ისტორიულ პროცესში.

ასეთს თეორიას ისტორიული მატერიალიზმი, რასაკვირველია, თვით საფუძველში არ ეთანხმება. „ადამიანის ბუნების ამა თუ იმ თვისებით შეუძლებელია აიხსნას ისტორიული პროცესი; საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი განსაკუთრებული შინაგანი კანონები და მსვლელობა აქვს; იგი ინდივიდის ცხოვრების კანონებით ვერ აიხსნება, თუმც **ადამიანთა** მოქმედების ნაყოფი კი არის. ვერ აიხნება ისე, როგორც არ შეიძლება ისტორიულ განვითარების გარკვევა ბიოლოგიურ კანონების საშუალებით. ის ფაქტი, რომ ისტორიაში ადამიანები მოქმედებენ, თავის თავად, საზოგადოებრივ კანონების გამოკვლევის დროს, არაფერსა ჰხსნის, პირიქით ადამიანის ბუნების ცვლა და განვითარება თვით უნდა იქნას ახსნილი სოციალურ პროცესის მიერ. ისტორია იღებს ადამიანს ბიოლოგიიდან და ფსიხოლოგიიდან. ისტორიული მატერიალიზმი ამა თუ იმ თვისების არსებობას კი არ არკვევს, არამედ მის ისტორიულ ცვლილებას და განვითარებას. ამ შემთხვევაში არ უნდა მოჰხდეს ბიოლოგიის და სოციოლოგიის საგანთა შერევა. ისტორიულ პროცესისათვის ადამიანის ბუნების თვისება, როგორც მაგალითად ბუნებრივი მოთხოვნილების არსებობა, „მუდმივი, განსაზღვრული სიდიდე“ არის. (постоянная величина).

ამიტომ არის რომ ისტორიული მატერიალიზმი ანსხვავებს ეკონომიურ **ინტერესს** ეკონომიურ **პირობებისაგან** და ამ უკანასკნელს სთვლის პირველის მიზეზათ და არა წინააღმდეგ. *).

*) იხ. დისკუსია ბელფ.-ბაქსისა და კაუცკის შორის.

ამის გარდა ფაქტორების თეორიის მეტაფიზიკურ მხარეს ისტორიული მატერიალიზმი დიალექტიკას უპირდაპირებს. ისტორიულ განვითარების ყოველ ხანაში ყველა მხარეები მის კომპლექსისა განსაზღვრულ საწარმოო ძალთა განვითარების საფეხურს ეთანაბრება და არა რაღაც განყენებულ ადამიანის ბუნებას. ყოველად შეუძლებელია ამ ბუნების სხვა და სხვა მხარეების და აგრეთვე ისტორიულ პროცესის ნაწილთა აბსტრაქცია, მათი გამოყოფა საერთო მსვლელობიდან განსაკუთრებულ „არსად“ და თვისებად. ისტორიული პროცესი მთლიანი და სრული რამ არის, მასში მუდამ მოძრავი და თან ცვალებადი ადამიანი მოქმედობს.

სხვა და სხვანაირათ ესმის ფაქტორების თეორიას და ისტორიულ მატერიალიზმს აგრეთვე ამ მთლიან პროცესის სხვა და სხვა მოვლენათა ურთიერთობის კანონები. ფაქტორების თეორიის მომხრისათვის არ არსებობს ამ სოციალურ მოვლენათა მონიზმი, ერთი სათავის არსებობა, თუ კი იგი მათ შორის ურთიერთ-გავლენას (взаимодѣйствіе) სცნობს. მეორეს მხრივ თუ მონიზმია, ერთი სათავე, მაშინ შეუძლებელია ყოველი ურთიერთ-გავლენა და სხვა „ფაქტორების“ მნიშვნელობა. ან მონიზმი, ან ურთიერთ-გავლენა—ასე სვამს საკითხს ამ თეორიის მომხრე.

ისტორიულ მატერიალიზმისათვის ასეთი **ან** არ არსებობს. მონიზმი ისტორიული მატერიალიზმისა, ერთი სათავის—საწარმოო ძალთა განვითარების უალრესობა ისტორიაში, სრულიად არ უარყოფს სხვა „ზედ-ნაშენთა“ გავლენას და მათ შინაგან მწყობრ ცხოვრებას. სხვა მოვლენები სოციალურ განვითარებისა — „შემთხვევითი რამ კი არ არის, ისინი ერთ მთლიან პროცესის აუცილებელი პირობები **და** შედეგი არიან, როგორც საზოგადოთ, ისე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. „შემცდარია ის შეხედულება, ამბობს ლაბრიოლა, თითქოს ისტორიული მატერიალიზმი მიისწრაფოდეს გამოაშკარავოს მხოლოდ **„ეკონომიური მომენტი“**, დანარჩენს კი, როგორც უვარგის ჩვრებს, რომელშიაც ადამიანები რაღაც კაპრიზის გამო ირთვებიან,—უარჰყოფდეს და უყურადღებოთ სტოვებდეს“.

სხვა და სხვა მოვლენათა ამ ურთერო-გავლენის გარკვევის დროს ფაქტორების თეორიის მომხრისათვის საჭიროა სხვა და სხვა ფაქტორების მნიშვნელობის რაოდენობითი განსაზღვრა; ამაში საუკეთესოთ მოსჩანს მეტაფიზიკური ხასიათი ამ თეორიისა, რომელსაც ვერ შეუფთვისებია ისტორიის განვითარება, მისი დიალექტიკა. ასეთი საჭიროება, ცხადია, ისტორიულ მატერიალიზმისათვის არ არსებობს... მართალია საწარმოო ძალთა განვითარება „საბოლოოთ“ განსაზღვრავს საზოგადოების სხვა მხარეების ცვლას, მაგრამ ეს „ეკონომიურ ფაქტორის“ რაოდენობით სიდიდეს კი არ ნიშნავს. ეკონომიური პირობები თვით ჰქმნიან „ზედ-ნაშენთა“ მათზე გავლენის **საზღვარსა და მიმართულებას**, და ეს ქმნადობა ამავ ეკონომიურ მიზეზების გამო ყოველს კონკრეტულ

შემთხვევაში შეიძლება სხვა და სხვა იყვეს. „ზედ-ნაშენთა“ ეკონომიურ პირობებზე პირუკუღმა გავლენა ისტორიის და კერძოთ თვით ეკონომიურ განვითარების აუცილებელი პირობაა. ეს ურთიერთ-გავლენა პროცესი არის და არა მუდმივათ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული რამ.

არის კიდევ ერთი უმთავრესი მხარე ფაქტორების თეორიისა, რომელიც მას ისტორიულ მატერიალიზმისაგან ანსხვავებს. ფაქტორების თეორიას საფუძვლათ უდევს ცნობა გარეშე პირველ მამოძრავებელ ძალისა. (внѣшній перводвигатель). საზოგადოებრივ ცხოვრებას, ამ მოძღვრების აზრით, არ ძალუძს თავის შინაგან აუცილებლობით განვითარდეს, იგი მოძრაობაში მუდამ რომელიმე გარეშე ფაქტორს მოჰყავს, იქნება ეს ფსიხოლოგიური ბუნება ადამიანისა, გეოგრაფიული მდებარეობა, თუ რაიმე ბიოლოგიური ან ეკონომიური კანონი. („მცხოვრებთა ზრდა“ მაქ. კოვალევსკის მოძღვრებაში).

მარქსიზმი უარყოფს ასეთ გარეშე ძალას, გარეშე პირობებს მხოლოდ პირელ-გავლენის როლს აწერს; შემდეგში საზოგადოება თვით ვითარდება თავისი შინაგანი აუცილებლობით;—ეს უმთავრესი დებულებაა მარქსიზმისა. „რაკი განსაკუთრებული საზოგადოებრივი განწყობილებანი წარმოიშვენ, ამბობს პლეხანოვი, შემდეგი მათი განვითარება თავის შინაგან კანონების მიხედვით ჰხდება“.

მაგრამ თვით მარქსისტებშიაც არიან ისეთნი, რომლებიც გარეშე მამოძრავებელ ძალის არსებობას იზიარებენ და ამით ფაქტორების თეორიას უახლოვდებიან. მაგ. კელეს-კრაუზი, მასლოვი და სხვ. „ადამიანის ბუნების უმთავრესი თვისებაა, ამბობს კელეს-კრაუზი, რაც შეიძლება ნაკლები ენერგიის დახარჯვით, რაც შეიძლება მეტი ნაყოფი მიიღოს. **ამ თვისების გავლენით** (ხაზი ჩვენია), ინტენსიურ შრომის ნაყოფიერებისაკენ მისწრაფების მეოხებით—შეუჩერებლივ ვითარდებიან საწარმოვო იარაღები“.*) თითქმის ამასვე იმეორებს პ. მასლოვი.

ამის შესახებ იგივე შეგვიძლია ვსთქვათ, რაც ფაქტორების თეორიის გახხილვის დროს. მართალია ეს მისწრაფება, როგორც ერთგვარი უცვლელი ფაქტი, თან ახლავს საწარმოვო იარაღის ყოველ გაუმჯობესებას, რადგან ყოველ ამ შემთხვევაში ადამიანი მოქმედობს მთელი თავისი თვისებებით და „ნიჭით“; მაგრამ ეს „მუდმივი ფაქტორი“ სრულებით ვერ ხსნის ისტორიულ განვითარების სხვა და სხვაობას; ეკონომიური კანონი „უცვლელი სიდიდეა“ (постоянная величина) და არა მამოძრავებელი ძალა, როგორც საწარმოვო ძალები. კელეს-კრაუზი და პ. მასლოვი ამით ვერ აფასებენ სათანადოთ საზოგადოების განვითარების შინაგანობას.

ამნაირათ ფაქტორების თეორიისა და ისტორიულ მატერიალიზმს შორის მთელი უფსკრული არის; მაგრამ ჩვენ ხშირათ ვამჩნევთ ამ ორი მოძღვრების შერევას; ხშირათ ურევენ ერთმანეთში ისტორიულ მატერიალიზმს და ეკონომიურ ფაქტორის თეორიას, რომელიც მხოლოთ ერთი სახეა ფაქტორების თეორიისა. უკეთ რომ ავხსნათ ისტორიულ მატერიალიზმში, როგორც ყოველივე რთულ მოძღვრებაში, არის მის მარტივათ, მეტად ვულგარულათ გაგების საფრთხე; გამარტივების დროს იგი ხშირათ უახლოვდება ფაქტორების თეორიას. ამისთვის ებრძოდა ასე ცხარეთ პლეხანოვი ისტორიულ მატერიალიზმის ეკონომიურ მატერიალიზმათ მონათვლას—მას სურდა თვით სახელითაც გამიჯნულიყო ფაქტორების თეორიისაგან.

ადვილი წარმოსადგენია აქედან რისთვის არის თვით მარქსისტებს შორის ხშირი ისტორიულ მატერიალიზმის ვულგარიზაცია. ამ მხრივ მარქსისტებში ისტორიულ მატერიალიზმის ორი სახე იბრძვის.

როგორც ვიცით მარქსის მეთოდი უმთავრესათ არის მოძღვება საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა და სხვა ელემენტების ურთიერთობის შესახებ, მოძღვრება „ბაზისის“—ეკონომიურ ვითარების და „ზედ-ნაშენის“ (პოლიტიკური ფორმა, უფლება, ფსიხიკა, იდეოლოგია და სხვ.) ურთიერთ-კავშირზე. და აი ამ „ბაზისისა“ და „ზედ-ნაშენის“ დამოკიდებულების გაგებაში ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთი მათგანი ძლიერ უახლოვდება ფაქტორების თეორიას. მისი აზრით სოციალურ პროცესის „ფაქტორები“ ორ, უმთავრეს და მეორე-ხარისხოვან ნაწილათ იყოფა. უმთავრესი ფაქტორი არის ეკონომიური ურთერთობა; სხვები ან მისი შედეგია (პოლ. ფორმა და სხვ.), ან მისი უბრალო ანარეკლი („იდეოლოგია“). ამ თეორიას შეიძლება ვუწოდოთ „ბაზისისა და ზედ-ნაშენის წინასწარ-მიღებულ ჰარმონიის თეორია“. (Теорія о предустановленной гармоніи базиса и надстройки).

ისტორიულ-მატერიალიზმის ასეთ მარტივ განმარტების წინააღმდეგ ილაშქრებდენ საუკეთესო თეორეთიკოსები მარქსიზმისა. ამ თეორიის მომხრენი, როგორც მაგ. შულიატიკოვი, ფრიჩე და სხვ., დათვურ სამსახურს უწევდენ ისტორიულ მატერიალიზმს; რასაკვირველია ამ სახის „ისტორიულ მატერიალიზმის“ წინააღმდეგ გალაშქრება უფრო ადვილი და მოსახერხებელი ჰხდებოდა. „ეს ისე არის დაწერილი, რომ გვებადება კითხვა, ხომ არ ხუმრობს შულიატიკოვი?—ამბობს პლეხანოვი შულიატიკოვის წიგნის შესახებ („Оправданіе капитализма въ Зап.-Евр. философіи“).—შეიძლება ის **მარქსიზმის პაროდიას** სწერს? როგორც პაროდია მისი წიგნი ბოროტათ და ნიჭიერათ არის დაწერილი, თუმცა, რასაკვირველია, უსაფუძვლოა“. *). იდეოლოგია ამ მარქსისტებისათვის უხეშ მატერიალურ ინტერესების დამალვა არის, ამისთვის უწოდა მათ მეთოდს ლუნაჩარსკიმ „წინასწარ მოფიქრებულ ტყუილის გამოაშკარავების მეთოდი“ („Методъ разоблаченія завѣдомой лжи“).

ისტორიულ მატერიალიზმის მეორე თეორიით საზოგადოება რთული და მოძრავი რამ არის; რაც დღეს

*) იხ. Келлесъ-Краузъ. „Что такое экономическій матеріализмъ?“.

*) იხ. Плехановъ. „Отъ обороны къ нападенію“.

მიზეზია იგი შეიძლება ხვალ თვით იქცეს შედეგათ, და შედეგი მიზეზათ. ამ საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა მხარე გავლენას ახდენს დანარჩენ მხარეებზე. თუ ეკონომიური ურთიერთობა ჰქმნის პოლიტიკურ და სხვ., „ზედ-ნაშენს“, შემდეგ ეს „ზედ-ნაშენი“, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, თვით ახდენს გავლენას ამ ეკონომიურ ურთიერთობაზე. ყოველ „ზედ-ნაშენს“ თავისი შინაგანი, მწყობრი და კანონებრივი განვითარება აქვს და საწარმოო ძალების მიერ მხოლოთ „საბოლაოთ“ თუ განისაზღვრება. ამ თეორიას შეიძლება ვუწოდოთ „ზედ ნაშენის შედარებითი დამოუკიდებლობის თეორია“ (Теорія относительной самостоятельности надстройки“). ამ თეორიას იზიარებდენ საუკეთესო თეორეთიკოსები მარქსიზმისა: ენგელსი, კაუცკი, პლეხანოვი, ლაბრიოლა და სხვა.

თუ პირველი თეორიით ისტორიულ ცხოვრების ახსნა მეტად მარტივ ფორმებს იღებს, მეორეს დროს იგი დიდ სიძნელეს წარმოადგენს; მაგრამ მოხმარების სიძნელე ვერ უარჰყოფს მის სიმართლეს. პირველ თეორიის მიხედვით ყოველ მოვლენას უნდა ჩამოვაცილოთ მეტ-ხორცები და ზედ ეკონომიური „ნიშანი“ დავასვათ;—ამით საქმე გათავებული იქნება. მაგრამ, ცხადია, ნამდვილ მარქსისტისათვის ისტორიის ახსნის დროს მარტო ეს არ კმარა; ყოველი მოვლენა ჯერ ერთი განხილულ უნდა იქნას საერთო მოვლენათა რიგში, იგი არ უნდა მოვსწყვიტოთ საერთო საზოგადოებრივ შინაგან განვითარებას. ისტორიული მატერიალიზმი სოციოლოგიაში თუ საზოგადოებრივ ცხოვრების საერთო კანონებს ეძიებს, ისტორიის ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის იგი უპირველეს ყოვლისა კვლევის მეთოდი არის. ამისთვის საერთო განხილვის გარდა უნდა შესწავლილ იქნას ყოველ მოვლენის მრავალმხრივობა, მისი თავისებურება, რადგან იგი მხოლოთ ერთხელ ჰხდება ისტორიის მსვლელობაში. არ კმარა მხოლოთ ეკონომიურ „ნიშანის“ დაკერება, არ კმარა აღნიშვნა სხვა და სხვა ელემენტების ურთიერთგავლენისა, უნდა გამოაშკარავებულ იქნას ხასიათი და საშუალება ამ ურთიერთობისა; ისტორიის შინაგან მიზეზობრივ განვითარების გარდა გარკვეულ უნდა იქნას ყოველი „ზედ-ნაშენის“ საკუთარი სახე, მისი შინაგანი ცხოვრება და მარტივი ელემენტები.

ასეთია ნამდვილი შეურყვნელი სახე ისტორიულ მატერიალიზმისა.

ჩვენი წერილის უმთავრესი მიზანი იყო სინათლე მოგვეფინა ისტორიულ მატერიალიზმის ზოგიერთ მხარეებისათვის, რომლებიც ხშირათ ბნელში არიან დარჩენილნი; ამისთვის ჩვენ ვამჯობინეთ მისი ფაქტორების თეორიასთან შედარება.

საზოგადოთ, უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში მეცნიერულ ლიტერატურაში ბევრ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ასე მაგ. სოც.-რევოლიუციონერები, თუ კი ეხებიან ამ საკითხს, ჩვენს თეორიას იდეოლოგიის მნიშვნელობის უარყოფას და „მოუხეშავ მატერიალიზმს“ უკიჟინებენ. ჩვენ დავინახეთ, რომ ისტორიულ მატერიალიზმისათვის იდეოლოგია, როგორც საზოგადოთ ყოველი „ზედ-ნაშენი“, უმნიშვნელო და „შემთხვევითი“ რამ კი არ არის; მას აქვს თავისი შინაგანი განვითარება, იგი თვით ახდენს გავლენას ისტორიულ პროცესის სხვა მხარეებზე და ამისთვის აქტიურ ელემენტათ ჩაითვლება.

რაც შეეხება სოც.-რევოლიუციონერების საკუთარ მრწამსს, ისინი საზოგადოთ ისტორიის ცოდნის თეორიაში გარკვეულ გზას არ დასდგომიან. მაგრამ რამდენადაც გაერკვნენ—ძალიან ახლო სდგანან ფაქტორების თეორიასთან. ისინი ახდენენ „სინთეზს“ იდეალისტურ ღა მატერიალისტურ შეხედულებათა; ისტორია მათთვის უმთავრესათ ეკონომიურ და ფსიხოლოგიურ ფაქტორების ურთიერთობაა, მაგრამ, როგორც ეს ხშირათ ჰხდება. „სინთეზის“ და შესაბამების მაგიერ, ეკლექტიზმს და შერევას ვიღებთ.

ბოლოს მინდა ვსთქვა, რომ ისტორიული მატერიალიზმი, მიუხედავათ „შინაგან და გარეგან კრიზისებისა“(!), მიუხედავათ მრავალ რევოლიუციის ქარტეხილისა—შეურყეველი რჩება; მოწინააღმდეგებმა ვერ შეჰქმნეს მასავით რეალური და მასთან მთლიანი და სრული თეორია ისტორიის ცოდნისა. ამას, სხვათა შორის, ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ მრავალმა ბურჟუაზიულმა ისტორიკოსმა თუ სოციოლოგმა მის წინაშე ქედი მოიხარა.

ბიძინა რამიშვილი.

რუსეთის სინამდვილე, ბალშევიზმი და მარქსიზმი.

ბალშევიკები სცდილობენ დაამტკიცონ, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში სოციალური რევოლიუცია დაიწყო. ლენინი აცხადებს: „ეხლავე უნდა მივყოთ ხელი პროლეტარულ, სოციალისტური საზოგადოების შენებას“.

იგივე ლენინი გლეხთა ყრილობაზე გაიძახის: „რუსეთის რევოლიუციამ სამი ხანა განვლო: რესპუბლიკანურ-ბურჟუაზიული, შემათანხმებელი და ეხლა სოციალისტური რევოლიუცია დაიწყო. ჩვენ ვწყვეტთ არა მიწის საკითხს, არამედ სოციალურ რევოლიუციის საკითხს და ამიტომ გლეხთა ყრილობამ მხარი უნდა დაუჭიროს 25 ოქტ. რევოლიუციას, როგორც სოციალისტურ რევოლიუციასო“. ის ეუბნება ხალხს: „აიღეთ მიწა, პური, ქარხნები, ფაბრიკები, იარაღები, პროდუქტები, ტრანსპორტი; ყველაფერი თქვენი, საზოგადოებრივი იქნება“.

„საბჭოების მიერ ხელში ძალა უფლების ჩაგდება, არის სოციალისტურ წყობილებაში გადასვ-

ლა“, ამბობს ტროცკი ც. აღ. კ. სხდომაზე. ნ. ბუ-ხარინი და სხვები, თავიანთ გაზეთებში ამტკიცებენ, რომ რუსეთი სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენათ მომზადებულია, და იგი უკვე დაიწყოო.

მართალია ყოველივე ეს? არის თუ არა რუსეთის მიმდინარე რევოლიუცია სოციალისტური და მომზადებულია თუ არა ობიექტიური და სუბიექტიური პირობები ამისთვის?

„კომუნ. მანიფ.“ კ. მარქსი ამბობს, რომ პროლეტარული მოძრაობა უნდა იყვეს დამოუკიდებელ მოძრაობათ დიდი უმრავლესობისა ამავე უმრავლესობის სასარგებლოდ. აგრეთვე ჩვენ, მარქსისტები, საღ სოციალისტურ იდეების მატარებლათ მხოლოდ პროლეტარიატს ვთვლით. გვაქვს კი ჩვენ საქმე ეხლა მუშათა კლასის, პროლეტარიატის უმრავლესობის მოძრაობასთან?

სპექტატორი თავის ერთ წერილში („Ленинскій бредъ“), რომელიც „ვპერიოდი“-ს № 222-ში იყო მოთავსებული, ამბობს: „1917 წლის დასაწყისში რუსეთში მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა 170 მილ. სულს (პოლონელთა გარდა). 1897 წლის აღწერით საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ითვლებოდა 17,9% მუშებისა. ამის შემდეგ 1909 წლამდის საფაბრიკო-საქარხნო და სამთა-მადნო მრეწველობაში მუშათა რიცხვმა იმატა 32%-მდე. მუშათა რიცხვი იმ დაწესებულებებში, რომლებიც ექვემდებარებიან საფაბრიკო ინსპექციებს, გაიზარდა 26% 1909—1913 წ.წ. და ომის დროს კი 7%. თუ დაუშვებთ, რომ ასეთი ზრდა ხდებოდა მთელ რუსეთის სივრცეზე ყველა საფაბრიკო-საქარხნო კატეგორიებში, მაშინ ასეთ მუშათა რიცხვი იქნებოდა 3628 ათასი და მტრის მიერ დაკავებულ ადგილების გამოკლებით კი 3 მილიონი.

სხვა სიტყვებით: სამრეწველო პროლეტარიატი შეადგენს მთელ მცხოვრებთა $^1/_{15}$ ნაწილს.

ამასთან ერთათ უნდა ვიფიქროთ, რომ სოფლის პროლეტარიზაცია არ ხდება ისეთი სიჩქარით, როგორც ქალაქის. მაგრამ თუ დაუშვებთ, რომ მუშათა რიცხვი 1867 წლიდან გაიზარდა 60%, მაშინ რუსეთში ჩვენ (უპოლონეთოდ) მივიღებთ 9,8 მილიონ მუშას. მოსამსახურეთა რიცხვი რომ 60% გაიზარდა ამის მტკიცებას არავინ არ დაიწყებს. ჩვენ ვფიქრობთ ეს ზრდაა 25%. მაშინ ჩვენ მივიღებთ საერთო რიცხვს მუშებისა და მოსამსახურეებისა—12 მილიონს.

ამას გარდა თვითეულ ოჯახზე რომ 3—4 სული იყოს ძნელი საფიქრებელია, მრავალი მუშა უცოლშვილოა და თანაც ოჯახის რამდენიმე წევრი მუშაობს ფაბრიკა-ქარხნებში. თუ ვიანგარიშებთ რომ თვითეულ მუშას 2—3 წევრი ყავს სარჩენი, მაშინ მივიღებთ 41—45 მილიონ მუშას, რაც შეადგენს მთელ რუსეთის მცხოვრებთა $^1/_4$-ს. სხვა სიტყვებით: უკეთეს შემთხვევაში მუშები შეადგენენ 25% რუსეთის მთელ მცხოვრებთა“.

ყოველივე ეს ნათლად ამტკიცებს, რომ რუსეთი სამეურნეო (земледѣльческая) გლეხური, წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა. მარქსიზმი გვასწავლის, რომ ყოველი სოციალური წყობილება ადგილს უთმობს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას მხოლოდ მაშინ, როცა პირველი მთელი თავისი შინაარსით ჟამს მოსჭამს და თანდაყოლილ ტენდენციას მაქსიმუმამდის განავითარებს. ობიექტიურ პირობების სიმწიფე, რომელიც აუცილებელია სოციალისტურ გარდაქმნისათვის, ვაჭრობა მრეწველობის აყვავება, საწარმოო ძალთა უაღრესი განვითარება, კაპიტალის კონცენტრაცია, კლასთა დიფერენციაცია, როცა პროლეტარიატი და გალატაკებული გლეხკაცობა უმრავლესობა იქნება და კლასობრივი ანტაგონიზმიც მიაღწევს უმაღლეს საფეფეხურს თავის განვითარებისა, რუსეთში არ არის, რაც ცოტაოდენათ ნათელ ჰყო ზემო მოყვანილმა სტატისტიკურმა ცნობამ.

ვიმეორებ რუსეთს ახასიათებს ეკონომიური ჩამორჩენა, კარგი ტეხნიკური აპარატის უქონლობა. მაშასადამე თუ სუსტი განვითარება კაპიტალიზმისა რუსეთში უარჰყოფს ობიექტიურ პირობების სიმწიფის შესაძლებლობას სოციალიზმის დასამყარებლათ, არც სუბიექტიური პირობები შეიძლება იყვეს მომზადებილი.

სუბიექტიური პირობები კი შეიცავს მრავალრიცხოვან მუშათა კლასის მომზადება-შეგნებას და კულტურულათ განვითარებას, ძლიერი პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანიზაციების ქონას და ხანგრძლივ გამოცდილება-გაწრთვნას პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაში.

ხასიათდება ყოველივე ამით რუსეთის მუშათა კლასი? არა. ერთი რომ მუშათა კლასი აქ, როგორც ზემოთ დავინახეთ, უმცირესობას შეადგენს, მეორე—მისი ეკონომიური ორგანიზაციები გაჩდენ რამდენიმე თვის წინათ და ღია პოლიტიკურ ბრძო-

ლაში კი ის თებერვლის რიცხვებიდან მონაწილეობს. რუსეთის მუშ. კლასს აკლია მომწიფება, განვითარება, ორგანიზაციულათ შეკავშირება და პოლიტიკურ-ეკონომიურ ბრძოლაში გაწვრთნა-დახელოვნება. ამასთანავე, მისი უმრავლესობა, ომის წყალობით, შესდგება შემთხვევით, დროებით ელემენტებისაგან, რომლებიც ორგანიულათ წინააღმდეგნი არიან პროლეტარიატის კლასიურ შეხედულება-მიდრეკილებისა. „ყველა ეს „უჩოტნიკები", გუშინდელი გლეხები, მედუქნეები ან მეეზოვები, ამბობს ვ. ბაზაროვი, არ არიან მომზადებული არამც თუ სოციალისტურ დიქტატურის განსახორციელებლათ, არამედ რიგიან ბრძოლის საწარმოებლათაც კაპიტალიზმის დროსაც კი. თვლიან რა თავს ხანმოკლე სტუმრებათ ფაბრიკა ქარხნებისა, ისინი სრულებით არ არიან დაინტერესებულნი რუსეთის მრეწველობის მომავლით და გულგრილათ უყურებენ მის შემდეგ განვითარების პერსპექტივებს. მათი დევიზია — მოხერხებული სარგებლობა ხელსაყრელ დროთი, რომ თავიანთ წინანდელ მუშობას არ დაუბრუნდენ ხელცარიელი".

რუსეთის არსებულ რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების და რუსეთის სინამდვილის ამ ზერელე ანალიზით, ჩვენ დავინახეთ, რომ რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანაა, კაპიტალიზმი აქ განუვითარებელია; რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ამ საფეხურზე სოციალიზმის დამყარებაზე ფიქრი და მით უმეტეს ამის ცდა მარქსიზმის ძირითადი დებულებების უკუგდებაა. ასეთი უტოპიური აზრებით გატაცება ანარქისტების და ბლანკისტების დამახასიათებელი თვისებაა, რომლებიც შეთქმულობით, სცდილობდენ სოციალური რევოლიუციის მოხდენას და გაიძახოდენ ის (სოც. რევ.) ისპანიაიტალიაში დაიწყება და შემდეგ დაწინაურებულ ქვეყნებში გადავაო.

ვისგან შესდგება ბალშევიკების ეხლანდელი მიმდევრები ადვილი გასაგებია. ჯარს უნდოდა დაუყონებლივი ზავი და გლეხებს მიწა. ეს სამართლიანი მოთხოვნილებები ვერც ერთმა დრ. მთავრობებმა ვერ დააკმაყოფილა. აქედან იწყება ზრდა მასის უკმაყოფილებისა და ბალშევიკებმაც ისარგებლეს ამით. და აი ჯარის $^3/_4$ მეტი და შუა რუსეთის (ველიკოროსები) მუშები და გლეხები შეუგნებლათ აყვა მათ. „ის აღფრთოვანება, რომლითაც გლეხები ხვდებიან მთელ მიწა-ადგილების კომიტეტების ხელში გადასვლას, იმას კი არ ნიშნავს რომ გლეხები სოციალისტები არიან, არამედ—მათ სურთ თავიანთ საკუთრებას კიდევ რამდენიმე დესიატინა მიუმატონ და ის შემოფარგლონ. მაგრამ ასეთი წვრილ-ბურჟუაზიული სურვილი ისე შორსაა სოციალიზმისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან". (იხ. „ნ. ჟ." სტატია ვოლსკისა).

ის პოლიტიკური პარტია, რომლის დიდ უმრავლესობას ჯარისკაცები შეადგენს, ვერ იქნება წმინდა კლასობრივი მუშათა მოძრაობის გამომხატველი. კიდევ მეტი, ის წვრილ ბურჟუაზიულ მოძრაობის მატარებელია და მას პროლეტ. კლასობრივ მოძრაობასთან საერთო არაფერი აქვს. მათი დეკრეტი „მუშათა კანტროლის„ შესახებ ამტკიცებს იმას, რომ ბალშევიკთა დიქტატურა არის დიქტატურა ხალხის ანარქისტულ-მეშჩანურ ნაწილისა. „მუშათა კანტროლი წარმოების მოწესრიგების სახელმწიფოს ხელში აუღებლათ, ამბობს ვ. ბაზაროვი, არის საშვალება პროლეტარიატის არა სოციალისტურათ აღსაზრდელათ, არამედ რეაქციონური საშვალება, რომელიც ანელებს—აჩლუნგებს მის კლასობრივ ბრძოლას; მუშათა კანტროლი საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბში არის ცარიელი, უშინაარსო ფრაზა. საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბში არა მუშათა კანტროლის დაწესება, არამედ წარმოების მოწესრიგება. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშათა კანტროლი სოლიდარობას კი არა, არამედ ეგოისტურ-მეშჩანურ ლტოლვილებებს დაბადებს მუშებს შორის".

ასეთივე დამღუპველი შედეგი მოჰყვა მათ საზავო მოლაპარაკების პოლიტიკას. ასეთივე არევ-დარევა შეიტანა რუსეთში ყველა მათმა ნაბიჯებმა, დეკრეტებმა.

ჩვენი მასწავლებელი კ. მარქსი შემდეგნაირათ ახასიათებს ასეთ ჯგუფთა მიდრეკილება-მოქმედებას; „შეთქმულებს უნდათ რევოლიუციონური პროცესი ხელოვნურათ დაჩქარონ, ხელოვნურათ გამოიწვიონ მისი კრიზისი და ადრე მოახდინონ ის. რევოლიუციის მოსახდენათ მათთვის საჭიროა მხოლოდ შეთქმულობის მოხდენა...

...ყუმბარები, ჯოჯოხეთის მანქანები, „ბუნტი" და სხვა ამგვარი რამ მათი აზრით ერთად ერთი საშუალებაა რევოლიუციონურ სასწაულის მოსახდენათ. ასეთი აზრით გატაცებულებს მათ მხოლოდ ახლობელი მიზანი აქვთ სახეში, სათანადო მთავრობის ჩამოგდება და ამავე დროს ზიზღით

უყურებენ მუშათა თეორიულ განვითარებას და მათში კლასობრივ ინტერესების გაღვიძებას".

„კრიტიკულ შეხედულების მაგიერ უმცირესობა დოგმატიურ შეხედულებას აყენებს- მატერიალისტურის მაგიერ იდეალისტურს. რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა მათთვის მხოლოდ ნ¿ბაა. ჩვენ ვეუბნებით მუშებს: 18, 20, 50 წელს უნდა გასწიოთ შინაური და საერთაშორისო ომი, არა მარტო იმიტომ, რომ შესცვალოთ გარეგანი პირობები, არამედ იმიტომ, რომ შესცვალოთ თვისი თავი, რათა შესძლოთ პოლიტიკურ ბატონობის მოპოება; თქვენ კი წინააღმდეგ ამბობთ: ჩვენ ეხლავე ხელში უნდა ჩავიგდოთ ძალა-უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავიძინებთ. იმ დროს როდესაც ჩვენ ვუჩვენებთ სპეციალურათ გერმანელ მუშებს, რომ გერმ. პროლეტ. არ არის განვითარებული, თქვენ პირმოთნეთ იქცევით, რაც თქვენ პოპულიარობას რასაკვირველია ხელს უწყობს. როგორც დემოკრატებმა სიტყვა ხალხი, რაღაც ღვთაებრივ სიტყვათ გადააქციეს, ისე იქცევით თქვენ სიტყვა პროლეტარიატის შესახ¿ბ. დემოკრატებივით თქვენ გინდათ რევოლიუციონურ განვითარების მაგიერ რევოლიუციონური ფრაზები გაასაღოთ". ყოველივე სიტყვა ამ გრძელ ამონაწერისა სწორათ სცემს ბალშევიკებს, რომელთაც ბევრი მოურ¿ხელი დანაშაული და ცოდვები მიუძღვის მუშათა კლასის წინაშე.

ერთად-ერთი ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზაა ბალშევიკთა მიმდევარ მასის გამოფხიზლება (отрезвленіе) და შეგნება, რომ ბალშევიზმი ასცდა მარქსისტულ-ინტერნაციონალურ გზას, და ბალშევიზმსა და მეცნიერულ სოციალიზმს შორ ს საერთო არაფერი არის.

გიორგი მგელაძე.

კოოპერაცია და ქართველი ს.-ფედერალისტები.

IV.

მარქსიზმი და კოოპერაცია.

„გუმბათზე კაკალი არ დადგებაო" ამბობს ანდაზა.

ჩვენც გაუშინჯოთ კბ¿ლი ფედერალისტთა ბრალდებას! შეიძლება თუ არა სოც.-დემოკრატები იყვენ მტერი კოოპერაციისა? ორიგინალური კითხვაა! წარმოიდგინეთ სოც.-დემოკრატია, ეს კერძოთ პროლეტარიატის და, საზოგადოთ, დემოკრატიის პარტია, დაუძინებელ მტრათ კოოპერაციისა, რომლის მიზანია სწორეთ ამ მუშათა და საზოგადოთ დემოკრატიის ყოველდღიურ ჭირ-ვარამის შემსუბუქება.

მაგრამ იქნებ სოც.-დემოკრატიას, როგორც ბ-ნი თ. ღლონტი ბძანებს, „მარქსის თეორიის სიდიადისათვის" დასჭირდა კოოპერაციის მოსპობა— განადგურება?—ჯერ ერთი მარქსისტები ფანატიკოსები არ არიან და მეორეც, ვნახოთ, საჭიროა თუ არა, ასეც რომ იყოს, კოოპერაციის განადგურება „მარქსიზმის სიდიადისათვის"? მოვიგონოთ ფედერალისტთა შეხედულება ამ საკითხზე, მათი ერთათ ერთი მძიმე არტილერია. „...როდესაც მარქსისტი კოოპერატორობს, მარქსიზმს ღალატობს; როდესაც იგი მარქსიზმს იცავს, კოოპერაციას ღალატობს; კოოპერაცია, როგორც თავის საბოლოო მიზნით, ისე **მახლობელი პრაქტიკული საქმიანობით** საფუძველშივე ეწინააღმდეგება მარქსიზმს" („ზვირთი" № 52, 1916 წ. „მოუსვენარის" წერილი). რას ნიშნავს ეს? ფედერალისტები ვანცვიფრებაში მოჰყავს დასელთა პრეტენზიებს: ჩვენ მტერი კი არა პირველი მოყვარე ვართ- კოოპერაციისო როგორ. ამბობენ ისინი, მასიური პროლეტარიზაცია მარქსისტებს მიაჩნიათ აუცილებელ და პროგრესიულ მოვლენათ, კოოპერაცია კი თავის წევრთა მოღონიერება-გაძლიერებით ხელს უშლის პროლეტარიზაციას. აქედან თ. ღლონტის თქმით, მარქსისტებმა ორში ერთი უნდა აირჩიონ: „ან უნდა უარყონ ძველი დოგმა პროლეტარიზაციის შესახებ, ან უნდა დაგმონ კოოპერაცია" („სახ. ფურც." № 695) აქ ფედერალისტები ივიწყებენ ერთ გარემოებას: მარქსისტებს კოოპერაცია მიაჩნიათ დროებით ზომათ, ხოლო ვერავითარ დროებით ზომებს, მარქ¿ისტთა აზიით, ვერ შეუძლია პროლეტარიზაციის შეჩერება. აქედან მარქსისტები ბრმა ფანატიკოსებიც რომ იყვენ, არ შეიძლება მტრობდენ კოოპერაციას. მოყვრობა კი მარქსისტთათვის სავალდებულოა, ვინაიდან სოც.-დემ. პრაქტიკული პარტიაა; მას სწამს რეფორმები, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა დღევანდელ საზოგადოების ჩარჩოებშივე.

მართლაც და, თუ მარქსისტები მტრები არიან კოოპერაციისა, რომელსაც ისინი სთვლიან დროე-

ბით ზომათ, საკვირველია, რაღა მარტო კოოპერაციისათვის მოიცალეს?! დროებითი ზომები ხომ სხვაც ბევრია? თვით მარქსისტთა პროგრამა მინიმუმი ასეთ ზომებისაგან არ შესდგება? დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათ. სამუშაო დღე, სახელმწიფოს და ეკლესიის განცალკევება, არა პირდაპირი გადასახადების მოსპობა, მიწების კონფისკაცია და სხვ. და სხვ.—ყველა ესენი ხომ დროებით აყუჩებენ დემოკრატიის ტკივილებს! ფედერალისტთა ლოღიკით მარქსისტები ამათაც უნდა მტრობდენ.

ფედერალისტებს დავიწყნიათ ჩვენი დღეგანდელი ტაქტიკა. სოც.-დემოკრატია მტერი ყოფილა დროებითი ზომისა, რეფორმისა; მას არ სწამებია თანამედროვე საზოგადოების ფარგლებშივე გაუმჯობესება დემოკრატიის მდგომარეობისა. მთელ სოც.-დემოკრატიას ფედერალისტები მაქსიმალისტებათ ნათლავენ, „ყველაფერი ან არაფერის“ პოლიტიკას,—ამ ანარქისტების ლოზუნგს, მას ძალით თავზე ახვევენ. დღეს მთელი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიას აქვს პროგრამა მინიმუმი, რომელსაც თვით მარქსმა ჩაუყარა საფუძველი ჯერ კიდევ კომუნისტურ მანიფესტში, სადაც ჩამოთვლილია ათამდე სხვა და სხვა დროებითი ზომები მუშათა მოძრაობის სახელმღვანელოთ.*) ეს ძლიერ კარგათ მოეხსენებათ ფედერალისტებსაც. ყველა ამის შემდეგ, მოდი და ნუ გაიკვირდება ფედერალისტთა „აღმოჩენა“: მარქსისტები ულოღიკობაში დავიჭირეთ; ისინი ემხრობიან კოოპერაციას, ამ მათივე აზრით დროებით ზომასო.

ახლა განვიხილოთ, თუ ვინ უფრო კარგ მოყვრობას უწევს კოოპერაციას, როგორც თეორიულათ, ისე პრაქტიკულათ. თვით კარლ მარქსი ჯერ კიდევ 1864 წ სიამოვნებით და დიდის კმაყოფილებით აღნიშნავდა (ინტერნაციონალის მანიფესტში) როდჩდელის პიონერების გამარჯვებას და ამბობდა: ეს დიდი ნაბიჯია წინ, მუშათა პოლიტიკურმა ეკონომიამ პირველათ დაამარცხა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია.*) ამავე მანიფესტში იგი სწერს: „მუშათა კლასის ხსნისათვის აუცილებლათ საჭიროა კოოპერატიული შრომა გადაიქცეს სახალხოთ; ამისათვის მას სახელმწიფოც უნდა დაეხმაროსო“.**) დასავლეთ ევროპის სოც.-დემ. დღეს კოოპერაციას დიდ ყურადღებას აქცევს და ყველგან სათავეში უდგია მას. ასევე ხდება რუსეთშიც რაც შეეხება კავკასიას, თამამათ შეიძლება ითქვას, რომ აქ კოოპერაცია ღორძინდება სწორეთ სოც.-დემ. მეოხებით; მცირედის გამონაკლით იგი აქ დასელთა ხელშია. სწორეთ დასელები ცდილობენ, და შედარებით კიდეც მიახწიეს მიზანს, დააყენონ კოოპერაცია ინტერნაციონალურ ნიადაგზე, რაც აუცილებელი პირობაა კოოპერაციის ასაღორძინებელათ. ამ მუშაობის დროს ჩვენს სოც.-დემოკრ. ხელის შემშლელათ მოევლინენ სწორეთ ფედერალისტები, ეს, მათი სიტყვით, კოოპერაციის მარილი და ერთათ-ერთი ჭირისუფალ-მოჭირნახულენი ჩვენში. მათ სანუკვარ-სანატრელ საგნათ გადაიქცა ეროვნული კოოპერაციის შექმნა, რითაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ძირს უთხრიდენ ახლად ფეხადგმულ კოოპერაციას. უბრალო მაგალითი! ამიერ-კავკ. მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დაარსებას ჩვენი ფედერალისტები ძლიერ მტრულათ შეხვდენ. „სახ. ფურცლის“ რედაქციამ ძალა-უნებურათ დაბეჭდა საორგანიზაციო ბიუროს მოწოდება და ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „საორგანიზაციო ბიუროს სურვილით იბეჭდება ეს მოწოდება“. („სახ. ფურ.“ № 514. 1915 წ.). ამას მოჰყვა თ. ღლონტის წერილი, სადაც მან აშკარათ წამოიჩოქა ეროვნული კოოპერაციის წინაშე.

ჩვენთან საპოლემიკო წერილში თ. ღლონტი სწერდა:

„პარტიული კოპერაცია ლოღიკური აბსურდია და აბსოლიუტური უარყოფა კოოპერატიზმისა... კოოპერაცია უნივერსალიზმის ელემენტებს ატარებს და, როგორც ასეთი, ფარავს ყოველ ჯურის ძალას... კლასს, ჯგუფს“ („სახ. ფურც.“ № 695). იგივე თ. ღლინტი „ამ.-კავკ. მომ. საზ. კავშირის“ საწინააღმდეგო ფელეტონში სწერს: „მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა შეეკრიბოთ ერთ დარბაზში არდანუკელი და ნუხელი გლეხი და ნახიჩევნის სომხის, ან შუშელი თურქის ინტერესი შეეაერთოთ ანანურის რომელიმე მთიულის ინტერესთან“. („სახ. ფურ.“ № 514 15 წ.).

ამის შესახებ აწ განსვენებული კოოპერატორი გ. ლომთათიძე ამბობს: „ბ. თ. ღლონტს, რო-

*) კომუნისტური მანიფესტი თავი II, გვ. 38.

*) Іеккъ. Интернаціоналъ გვ. 41.

**) ib., გვ. 41. შეადარე. Капиталъ, т. III, часть I стр. 416.

გორც ეკონომისტს უნდა მოეხსენებოდეს, რომ კოოპერატიული მოძრაობა არის უაღრესად ეკონომიური მოძრაობა. თუ კი კერძო კაპიტალი შეერთებულა და ეროვნებისა და ადგილის მიუხედავათ ერთნაირათ ჰკრეშს და ჰკვებავს ნახევრათ ყალბი საქონლით მომხმარებელს, რატომ კოოპერატიულმა კავშირმა ვერ უნდა შესძლოს მოძხვ. საზოგადოებათა წარმომადგენლების ერთ დარბაზში შეკრება დი საერთო საქმეების საერთო ძალებით გაძღოლა?". „ჩვენ შეგვიძლია მეტი გამბედაობაც გამოვიჩინოთ, ამბობს იმავ წერილში თ. ღლონტი, **აშკარა ძალადობაა**... როდესაც შეგნებულათ ვაერთებთ და ჩავაყენებთ სხვა და სხვა **ცოდნის, მიმართულების, ჩვეულების და ენის ხალხს**, ისეთ პირობებში, სადაც მათ არ შეუძლიათ გამოიჩინონ საკმაო ფხიანობა". და სხვ. და სხვ.., (იქვე). მე განგებ ხაზს უსვამ სიტყვებს: სხვა და სხვა ცოდნის, მიმართულების, ჩვეულების, ენის". თურმე ასეთი ხალხის ერთ კავშირში შეერთება უგუნურობაა, „აშკარა ძალადობაა". მაშინ საზოგადოთ კავშირი შეუძლებელიც ყოფილა თ. ღლონტის ლოგიკით. რომელ საგუბერნიო ერთეულს დაასახელებს თ. ღლონტი, სადაც კოოპერაციას შეეძლოს ერთნაირ **მიმართულების** და **ცოდნის** ხალხს დაემყაროს?.. ან რა მოსატანია აქ ენა, ცოდნა, მიმართულება, ზნე-ჩვეულება, როდესაც კოოპერაცია იმავ თ. ღლონტის განმარტებით „უნივერსალური დაწესებულებაა, რომელიც ფარავს ყოველივე ჯგუფის ძალას, პარტიას, ჯგუფს?". გიკვირთ ასეთი თავის თავის წინააღმდეგობა?—ნუ გაგიკვირდებათ, ეროვნულ თვალსაზრისზე მდგომ ეკონონომისტს ყველაფერი ეპატიება.

ს. მიხელიძე.

ამიერ კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის პირველი კონფერენცია.

(მეორე სხდომა. 18 იანვარი).

თავმჯდომარეობს ამხ. ს. ტაბიძე.

ამხ. მ. ხუნდაძე აკეთებს მოხსენებას მიმდინარე მომენტის შესახებ. მომხსენებელი ანალიზს უკეთებს რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას და ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის ობიექტიური და სუბიექტიური პირობები არ არის იმდენად მომწიფებული, რომ შესაძლებელი იყოს დღესვე ჩვენში სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა. ქვეყნის ეკონომიურ პირობების მიხედვით დღეს რუსეთში ბურჟუაზიული რევოლიუცია ხდება, რომლის პირდაპირ მიზანს დემოკრატიულ წყობილების დამყარება შეადგენს. ამას გვიკარნახებს სწორი მარქსისტული გაგება ისტორიულ განვითარებისა და ყოველგვარი ექსპერიმენტი, რომელიც არ ეთანხმება ეკონომიურ მდგომარეობის ამ ანალიზს, ეწინააღმდეგება ჩვენი რევოლიუციის მიზნებს და დემოკრატიას დამარცხებას უმზადებს. აქედან ცხადია, თუ რა საშინელ საფრთხეს უმზადებენ რუსეთის რევოლიუციას ბალშევიკები, რომელნიც, შესტოპეს რა ანარქო-სინდიკალიზმში, არ უწევენ ანგარიშს რუსეთის რეალურ პირობებს და დღესვე სოციალიზმის განხორციელებას ცდილობენ.. პერიფერიებში რევოლიუციის განმტკიცება, კერძოთ ამიერ კავკასიაში ძლიერი დემოკრატიული ცენტრის შექმნა ამიერ-კავკასიის სეიმის სახით და სრულიათ რუსეთის დემოკრატიის გაერთიანება დამფუძნებელ კრების იდეის გარშემო, რომლის იდეაც არასოდეს არ მოკვდება, —აი ერთად ერთი გზა, რომელიც იხსნის რუსეთის რევოლიუციას.

მოხსენების შემდეგ იმართება ცხარე კამათი. კამათში მონაწილეობას იღებენ ამხანაგები: დუდუჩავა, ბერიძე, კვაჭაძე (ბალშ.), ვ. ნიკურაძე და სხვები. ორატორების დიდი უმრავლესობა იცავს მომხსენებელის მოსაზრებებს. საპასუხო სიტყვაში ამხ. მომხსენებელი კიდევ უფრო აღრმავებს თავის მოსაზრებებს.

რეზოლიუციის გამოტანა კრებამ შემდეგი სხომისთუის გადადო.

ამის შემდეგ ამხ. ვ. ნიკურაძე აკეთებს მოხსენებას ჯარში გაწვევის საკითხის შესახებ. მომხსენებელი აცნობს კონფერენციას იმ პირობებს, რომლებმაც აიძულა ჩვენი პარტია დადებითად გადაეჭრა 19-25 წლიანების ჯარში გაწვევის საკითხი. ანარქიისაგან თავის დასაცავათ არ არის საკმაო მარტო ნაციონალური პოლკები. სახალხო მილიციის მოწყობა კა ბევრ დროს მოითხოვს. ამიტომ ჩვენ უნდა შეურიგდეთ მობილიზაციას, როგორც აუცილებელ ბოროტებას და ამასთანავე დღესვე უნდა შეუდგეთ სახალხო მილიციის მოწყობას. შემდეგ მომხსენებელი ეხება საკითხს, თუ როგორ გავლენას იქონიებს მობილიზაცია ჩვენს ორგანიზაციაზე და შენიშნავს: რასაკვირველია, მობილიზაცია ცუდ გავლენას მოახდენს ჩვენს ორგანიზაციაზე, მაგრამ ჩვენი ვალია საესებით გავითვალისწინოთ დღევანდელი რთული პირობები და მომენტის აუცილებელი მოთხოვნილება და გავიღოთ საჭირო მსხვერპლი.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში ამხ. ბიძინა რამიშვილი სხვათა შორის შენიშნავს, რომ მობილიზაცია არ იქონიებს იმდენ ცუდ გავლენას ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობაზე, როგორც ეს ბევრს ჰგონია. პირიქით, ორატორის აზრით, რადგანაც ჩვენი ამხანაგების უმრავლესობა საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში მოიყრიან თავს, მოსალოდნელია კიდევ უფრო ინტენსიური მუშაობა გაჩაღდეს. საპასუხო სიტყვაში ამხ. მომხსენებელი აკრიტიკებს ზოგიერთ ოპონენტების მოსაზრებებს და სხვათა შორის ამბობს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ბალშევიკების შეხედულება, თითქოს სახალხო კომისართა საბჭოს ძალა-უფლების აღიარება ყველაფრის გაკეთებას უდრისო.

(საღამოს სხდომა).

მოხსენებას აკეთებს სამანდანტო კომისიის წევრი ამხ. დ. ლომთაძე. კონფერენციაზე წარმოდგენილი არიან შემდეგი ორგანიზაციები: თფილისის (დელეგატები ბ. რამიშვილი, ვ. ნიკურაძე, კ. ბაქრაძე, მ. ხუნდაძე, გ. სულაქველიძე, ა. მექანარიშვილი, ს. მიხელიძე, ვ. მაშკევიჩი), ხაშურის (გ. მგელაძე, კ. კედია), ჩოხატაურის (ა. მეგრელიშვილი, ხ. კეკელიძე), ლანჩხუთის (კ. ორაგველიძე, ი. სურგულაძე, დ. ლომთაძე), ლაშის ღელის (ლ. ორაგველიძე), ხონის (ნ. სანოძე), ხიდისთავის (ი. ჟღენტი), ბაღვის (ი. ინწკირველი), ყვირილის (შ ჭუმბურიძე, დ. ორაგველიძე), ლიხაურის (პ. ფირცხალაიშვილი), სუფსის (მ. ჯაში), ჭიათურის (გ. ჭანიშვილი), ქუთაისის (ნ. იმნაიშვილი, გ. კვაჭაძე, ი. ჟუღელი, ს. ჯაფარიძე, შ. ბერიშვილი, მ. დგებუაძე, გ. შაქარიშვილი, ს. ტაბიძე), ბათუმის (ა. ჭყონია, ა. ბერაძე), ოზურგეთის (ე. თალაკვაძე, ა. შილაკაძე, ა. დუდუჩავა, ი. ცინცაძე) და სამტრედიის (მ. ჩაჩუა); სულ 16 ორგანიზაცია. დამტკიცებულ იქნა 39 მანდატი. დელეგატებიდან 38 ქართველია და 1 რუსი.

სამანდანტო კომისიის მოხსენების შემდეგ კრება გადადის კონფერენციის მთავარ საგანზე —ორგანიზაციულ საკითხის გარჩევაზე. ამ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ნიკურაძე.

ყველამ კარგათ ვიცით,—იწყებს მომხსენებელი,—თუ რა აუტანელ პირობებში ცხოვრობდა ახალგაზრდობა რეაქციის დროს. მისი დიადი მისწრაფება ვერ პოულობდა რეალურ გამოხატულებას. ამ მხრივ აუტანელ პირობებში იყვენ როგორც მოწაფეები და სტუდენტები, ისე ახალგაზრდა მუშებიც. მაგრამ შედარებით უკეთეს პირობებში უხდებოდა მოქმედება მოსწავლე ახალგაზრდობას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოწაფეები რეაქციის დროსაც ახერხებდენ ასე თუ ისე ორგანიზაციების მოწყობას. ჯერ კიდევ რეაქციის დროს მოეწყო „ამიერკავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირი“ და გაიმართა ქ. ქუთაისში კონფერენცია. ამ კავშირში მხოლოდ მოწაფეები შედიოდენ; ვინაიდან აუტანელ პირობების გამო შეუძლებელი იყო ორგანიზაციის უფრო გაფართოება... რევოლიუციამ ერთიანათ შესცვალა პირობები. ახალგაზრდობამ ოავისუფლათ ამოისუნთქა და შეუდგა ორგანიზაციების მოწყობას. თვით ცხოვრებამ დაუინებით მოითხოვა მოსწავლე ახალგაზრდობისა და ახალგაზრდა მუშების გაერთიანება, მათი ერთ ორგანიზაციაში შეკავშირება. ამის გამო მოსწავლეთა კავშირი ფაქტიურათ გადაიქცა ახალგაზრდობის საერთო ორგანიზაციათ. სასურველია ეს მოვლენა თუ არა?

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ორგანიზაციის მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს ერთის მხრივ თეორეტიული ცოდნის შეძენა და მეორეს მხრივ პრაქტიკულ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობის მიღება, ჩვენ გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ საერთო ორგანიზაციის მოწყობა პირდაპირ აუცილებელი და მიზან შეწონილია. როგორც დელეგატების გუშინდელ მოხსენებიდან გამოირკვა, ამ სახით იწოდება ორგანიზაციები პროვინციებშიაც. მაკვირვებს მხოლოდ ქუთაისის ორგანიზაცია, სადაც ქუთაისელ დელეგატის სიტყვებით, ორგანიზაციაში დღემდიაც არ მიუღიათ მუშები. მომხსენებელს აკვირვებს ქუთაისის დელეგატის არგუმენტაცია, რომელიც მდგომარეობს იმაში რომ მუშები უკვე შედიან ს.-დემოკრატიულ პარტიაში; მაშასადამე არც საჭიროა მათთვის ჩვენს ორგანიზაციაში ჩაწერა, ისინი ჩვენს ორგანიზაციაში ვერაფერს შეისწავლიანო. მაგრამ ვეკითხები დელეგატს, განაგრძობს მომხსენებელი, ნუთუ ჩვენი ორგანიზაციაში ყოფნა ხელს უშლის ს.-დ. პარტიაში ყოფნას? და ნუთუ თვითონ დელეგატი, რომელიც ჩვენი ორგანიზაციის წევრათ ითვლება, თუ წლოვანება ხელს არ უშლის, დღემდის არ ჩაწერილა ს.-დ. პარტიაში?

როგორი ხასიათის უნდა იყოს ჩვენი ორგანიზაცია? პრინციპიალურათ, ზედ-მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ ყველანი გაერთიანებული ორგანიზაციის მომხრე ვართ. კიდევ მეტი, არამც თუ გაერთიანებულის, რომელიც მაინც სხვა და სხვა პარტიას გულისხმობს, ჩვენ გვსურს მხოლოდ ერთი ს.-დემ. პარტია არსებობდეს, ვინაიდან ერთია მუშათა კლასი და მისი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიაც ერთი უნდა იყოს. მაგრამ როდესაც საკითხი პრაკტიკულათ დგება, ყოველთვის მოუხერხებელი ხდება ბალშევიკებთან საერთო ორგანიზაციის მოწყობა. ამ შეხედულების დამამტკიცებელი ბევრი მაგალითები მოიპოვება. ჩვენ აქ არას ვამბობთ ძველ ბალშევიკებზე, რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობენ. ახლანდელ ბალშევიკებთან გაერთიანებაზე ლაპარაკი ყოველთვის უნაყოფოთ დარჩა. ამ ნიადაგზე ჩვენ მათ თავიც კი მოვაბეზრეთ. რამდენიმეთ ამითაც აიხსნება, რომ ჩვენ ბალშევიკები „соглашател“-ებს ვეძახიან. ახალ მოვლინებულ ბალშევიკებს მარქსიზმიც კი სხვანაირათ ესმით; მეტსაც ვიტყვი, მათ უკვე მიატოვეს მარქსიზმის ნიადაგი. მაშასადამე, მათთან მარქსიზმის შესწავლაც კი მოუხერხებელია. გამოვდიეართ რა აქედან, ჩვენ ვასკვნით, რომ დღეს უნდა მივსცეთ ჩვენს ორგანიზაციას ფრაქციული ხასიათი (მენშევიკური). მით უმეტეს, რომ ჩვენი ორგანიზაციების ფაქტიური შემადგენლობა დღეს თითქმის ყველგან მენშევიკურია. ჩვენ ამით ორგანიზაციის შინაარსს შესაფერ ფორმას, გამოხატულებას მივსცემთ. ორგანიზაციას მიეცემა გარკვეული, მტკიცე ხასიათი, რაც აუცილებელი პირობაა ყოველგვარ ორგანიზაციის სიძლიერისა და მისი მუშაობის ნაყოფიერებისათვის.

მოხსენების შემდეგ ცხარე კამათი იმართება: ორატორების დიდი უმრავლესობა იმ აზრს იზიარებს, რომ არაა საჭირო ორგანიზაციას ფრაქციული ხასიათი მიეცეს. რადგანაც კამათი ძალზე გაჭიანურდა, კონფერენცია საჭიროთ სთვლის განისაზღვროს ორატორთა რიცხვი. სიტყვა ეძლევა სამ ორატორს ფრაქციულ ორგანიზაციის მომხრეს და სამს მოწინააღმდეგეს.

ამხ. ს. მიხელიძე წინააღმდეგია ორგანიზაციას ფრაქციული უწოდოთ. იგი ამბობს, რომ რადგანაც მუშათა კლასი ერთია და ჩვენც ამ მუშათა კლასის ინტერესების

დაცვას ვცდილობთ, ცხადია, ორგანიზაციაც ერთი უნდა შეექნათ. ჩვენ უფროს ამხანაგებმა ვერ მოახერხეს გაერთიანება დღეევანდელ ბალშევიკებთან; მაგრამ არიან ძველი ბალშევიკები, რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობენ. ჩვენი უმთავრესი მიზანი მარქსიზმის შესწავლაა. სწორეთ ამ ნიადაგზე შეიძლება გაერთიანებული ორგანიზაციის შექმნა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ არ მოხდეს იმ ორგანიზაციების გათიშვა, რომლებშიაც ორივე ფრაქცია ერთად მუშაობენ.

ამხ. მ. ხუნდაძე. ამხ. მიხელიძის მოსაზრებები სრულიადაც არ ეწინააღმდეგებიან ჩვენს პოზიციას. ჩვენ არ ვამბობთ, რომ გაერთიანებულ ორგანიზაციების უსათუოდ დაყოფა უნდა მოხდეს. ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს მუშათა კლასის ინტერესების ერთად ერთი გამომხატველი მენშევიკებია; ბალშევიკები დღეს თავიანთ უტოპიურ მისწრაფებებით სავსებით ეწინააღმდეგებიან პროლეტარიატის ინტერესებს. სწორეთ ეს გარემოება მოითხოვს, რომ ორგანიზაციას მენშევიკური ხასიათი მიეცეს. აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, თითქოს არსებული გაერთიანებული ორგანიზაციები უსათუოდ უნდა დაიშალოს.

ამხ. ყლენტი აღნიშნავს, რომ მუშებში ფეხს იკიდებს გაერთიანებისადმი მისწრაფება. ასეთი მაგალითები უკვე იყო მოსკოვში, თფილისში და სხვაგან... ორატორი მოუწოდებს კონფერენციას მიიღოს გაერთიანებული ორგანიზაცია.

ამხ. ბ. რამიშვილი. აქ მოყავთ სხვა და სხვა მაგალითები იმის დასამტკიცებლათ, რომ ძველი მოსახერხებელია გაერთიანებული ორგანიზაციის შექმნაო. მაგრამ არის სხვა მოსაზრებებიც, რომლებიც გვაიძულებენ, რომ ორგანიზაციას სწორეთ გაერთიანებული ხასიათი ჰქონდეს. ჩვენი ორგანიზაციის მთავარ მიზანს თეორიული ცოდნის შეძენა შეადგენს. რასაკვირველია, აქ დაიბადება აზრთა სხვა-და-სხვაობა, მაგრამ ეს არ არის ისეთი ფაქტორი, რომელიც უსათუოდ ორგანიზაციულათ დაყოფას მოითხოვდეს... ფრაქციულ ორგანიზაციის დასაცავათ აქ მოყავთ ის მოსაზრება, რომ ორგანიზაციის ფაქტიურ უმრავლესობას მენშევიკები შეადგენენ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დღემდის ს.-დ. პარტიაში უმრავლესობას „ობორონცული“ ფრთა შეადგენდა. მაგრამ აზრათაც კი არავის მოსვლია, რომ ამიტომ პარტია უსათუოდ უნდა გაყოფილიყო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ მომავალის შვილები ვართ. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ ის რწმენა, რომ მუშათა კლასის ინტერესების დამცველი მომავალში მხოლოდ ერთი პარტია უნდა იყოს. ჩვენ აქედანვე ნიადაგი უნდა შევამზადოთ ამ რწმენის განსახორციელებლათ. დასასრულ ორატორი მიუთითებს სუბიექტიურ მომენტზე, რომელიც დამახასიათებელ ფაქტორათ მიაჩნია ამ შემთხვევაში და დაასკვნის, რომ ორგანიზაციას არ შეიძლება მიეცეს ფრაქციული ხასიათიო.

საპასუხო სიტყვაში მომხსენებელი იცავს თავის მოსაზრებებს და აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც წინ აგვეტუზება პრაქტიკულ მუშაობის დროს, თუ დღესვე არ მისცემთ ჩვენს ორგანიზაციას გარკვეულ ხასიათს. ეს დაბრკოლებები მაინც გამოიწვევენ ორგანიზაციის გაყოფას. თუ ჩვენ ფრაქციულ ორგანიზაციას ვიცავთ, ამით ვალიარებთ მხოლოდ იმას, რაც სინამდვილეში არსებობს. მე წინააღმდეგ არ მივსცემ ხმას, ამბობს მომხსენებელი, თუ უმრავლესობა არ მოისურვებს ორგანიზაციას მისცეს შინაარსისა და დანიშნულების შესაფერი ფორმა, სახელწოდება.

მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთ ორგანიზაციაში მუშაობას ბევრი დაბრკოლებები გადაეღობება წინ. ეს დაბრკოლებები ბოლოს და ბოლოს მაინც გამოიწვევს ორგანიზაციის გაყოფას, თუ მან არ უღალატა მთავარ ხაზს — მენშევიკურ მიმართულებას.

კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილებები: ორგანიზაცია წარმოადგენს **ახალგაზრდათა** ორგანიზაციას და არა **მოწაფეთა** (ერთხმათ); ორგანიზაციას **არ ექნება ფრაქციული ხასიათი** (ხმა მისცა ოცმა კაცმა, წინააღმდეგ შვიდმა); ორგანიზაციის სახელწოდება იქნება: **„ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია“** — „Закавказская Организація Марксистской Молодежи“.

ცენტრალურ ორგანოსა და ფინანსების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბ. რამიშვილი. იგი არკვევს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბეჭედითი ორგანოს ორგანიზაციისათვის, რომელიც მისი შინაარსის, მისი ცხოვრების გამომხატველი იქნება. ეხება რა ცენტრალურ ორგანოს მიმართულებას, მომხსენებელი ადიარებს, რომ იგი უნდა ატარებდეს ორგანიზაციის უმრავლესობის ხასიათსა. ამასთანავე, რადგანაც ორგანიზაციის ყველა წევრმა უნდა გამოხატოს თავისი აზრი ცენტრალურ ორგანოს საშვალებით, მომხსენებელს შესაძლებლათ მიაჩნია ორგანოში ალაგი დაეთმოს ისეთ წერილებს, რომლებიც არ ეთანხმებიან უმრავლესობის მიმართულებას. ასეთი წერილები, მისი აზრით, სარედაქციო შენიშვნებით გაიშვება. ცენტრალურ ორგანოს ფინანსიურ უზრუნველსაყოფათ მომხსენებელი შემდეგ საშუალებებს ასახელებს: 1. ადგილობრივ ბეჭედითი ორგანოების თანხა (ფოთის და ოზურგეთის ორგანოები, რომლებიც, მომხსენებლის აზრით, უსათუოდ უნდა დაიხუროს), 2. ადგილობრივ ორგანიზაციების შემოსავლის ნაწილის გადადება ცენტრ. ორგანოს სასარგებლოთ (მომხსენებელი 10%-ს ასახელებს), 3. ერთიანდროული ძირითადი თანხის შედგენა (3000 მან.), 4. მოსალოდნელი შემოწირულება და 5. ლექტორთა ჯგუფის შედგენა, რომელიც გამართავს სისტემატიურ ფასიან ლექციებს ორგანიზაციის სასარგებლოთ.

მცირე კამათის შემდეგ კონფერენციას გამოაქვს შემდეგი დადგენილებები: 1. ჟურნალი „ახალი კვალი“ არის ორგანიზაციის ცენტრალური ორგანო, 2. უნდა დაიხუროს პროვინციელი ორგანოები (ფოთის და ოზურგეთის), 3. ცენტრალური ორგანო გამოდის ქართულ ენაზე და 4. ევალება ცენტრალურ კომიტეტს იზრუნოს ახლო მომავალში რუსულ ორგანოს გამოცემაზე.

კრების დახურვის წინ ამხ. ვ. ნიკურაძის წინადადებით კონფერენცია ერთხმად ადგენს მისასალმებელ დეპეშა გაუგზავნოს ჩვენს დიდებულ ჰაღარა მასწავლებელს **ნოე ჟორდანიას**. ტექსტის გამომუშავება დაევალა ცენტრალურ კომიტეტს.

სტამბა **ბართლომე კილაძისა**, ველიამინოვის ქუჩა, № 3.

> 984 33
1918